საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჯოჯებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 30 სექტემბერი, 2015 წელი.

№183 (7828)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ნაცებს რა აქვთ სალაპარაკო? გადაჭამეს ქვეყანა!

ზურაბ ჭიაბერაშვილი	- 63 972.86 ლარი (8 თვეში)
გიორგი ბარამიძე	- 65.920.00 ლარი (1 წელი)
ნიკა გილაური	- 121.588.00 ლარი (14 თვე)
ეკა ტყეშელაშვილი	- 147 206.00 ლარი (2 წელი)
ელენე ხოშტარია	-77 873.83 ლარი (1 წელი)

„სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი“
2004-2012 წ. წ. მონაცემები

ტალახის სრულა უკადრისი საქმეა!..



თამაზ გამყრელიძე

ივანე ჯავახიშვილის „მესამე სიკვდილი“

3

დავაბრუნოთ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები სახელმწიფო საბაზისო დაფინანსებაზე

პროტესტულმა ძალებმა იგრძნეს, რომ მათი დრო მოდის...

7

რუსეთის პრობლემა და ქართული დიპლომატია

6

ნავთობ-პროდუქტების ბაზარზე კარტელური შეთანხმება გამორიცხული არ არის

5

4

რამდენით შემცირდა რეალური ხელფასი საქართველოში

დავით თევზაძე პოლიტიკაში მოდის

2

ლარი ახალ ნიშნულს ეძებს

5



9

ქართული პროდუქტის პერსპექტივა ევროკავშირის ბაზარზე

ნიუ იორკი დიდია – პრეზიდენტი და პრემიერი ერთმანეთის გზებს არ გადაკვეთენ

8

ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტომობილებმა ტექნიკური შემოწმება 2016 წლის 1 აპრილამდე უნდა გაიარონ

9

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ხედავთ, რა დაძაბული დღეები აქვს პრეზიდენტს ამერიკაში, თქვენ კი ამბობდით, არ უნდა წასულიყო...

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გაეროში პოლონეთისა და ხორვატიის პრეზიდენტებს შეხვდა.

დაგეგმილია ასევე, პრეზიდენტის შეხვედრა ბელგიის პრემიერ-მინისტრთან.

გიორგი მარგველაშვილს საგარეო ურთიერთობათა საბჭოში და ფორდჰეიმის უნივერსიტეტში საჯარო სიტყვით გამოვიდა

პრეზიდენტი მონაწილეობას მიიღებს ლიტვის პრეზიდენტის მიერ ორგანიზებულ დისკუსიაში — „აღმოსავლეთ ევროპის მომავალი, ქალთა როლის გაძლიერება“.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, დღეს საქართველოს პრეზიდენტი ვაშინგტონს ეწვევა, სადაც დაგეგმილია შეხვედრები სენატორებთან და კონგრესმენებთან, მათ შორის არიზონას შტატის სენატორ ჯონ მაკკეინთან.

ვაშინგტონში გიორგი მარგველაშვილი მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრეზიდენტებს და ბიზნესწრეების წარმომადგენლებს შეხვდება.

საქართველოს პრეზიდენტი „ოლბრაიშ სთოუნბრიჯ გრუფ“-ის ხელმძღვანელს მადლენ ოლბრაითს სამუშაო საუზმეზე უმასპინძლებს. დაგეგმილია პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა ვილსონის და სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრში. ასევე შეხვედრები გაიმართება კარნეგის ცენტრის ხელმძღვანელთან, უშიშროების და საგარეო ურთიერთობის კომიტეტების წარმომადგენლებთან.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ქვეყნის პირველი პირი „ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) ხელმძღვანელებთანაც გამართავს სამუშაო სადილს და ამერიკაში მცხოვრებ ქართულ დიასპორასაც შეხვდება.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის ინტერვიუები საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებთან.

საქართველოს პრეზიდენტმა უკვე გამართა ორმხრივი შეხვდრები ლატვიისა და სლოვენიის პრეზიდენტებთან და შეხვდა ქართული დიასპორის წარმომადგენლებს.

კონექტიკუტში კი, სანაპირო დაცვის აკადემიაში (Coast Guards Academy) დაღუპული ქართველი კადეტების — სოსო მაკარიძის და ბესო გორჯოლაძის ხსოვნას მიაგო პატივი და კურსანტებს სიტყვით მიმართა.

გიორგი მარგველაშვილის ვიზიტი აშშ-ში 2 ოქტომბერს დასრულდება.

ჩვენ ვიქნებით ნატოს მეოთხე არაწევრი ქვეყანა სწრაფი რეაგირების ძალებში

ნატოს გადაწყვეტილებით, საქართველო შეუერთდა სწრაფი რეაგირების ძალებს და მასში ქართული ასეული მიიღებს მონაწილეობას,— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ ორგანიზებულ გაეროს სამშვიდობო ოპერაციების სამიტზე განაცხადა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ ობამას და მსოფლიოს სხვა ლიდერებს გლობალური უსაფრთხოებისადმი ერთგულებისთვის და სამშვიდობო მისიებში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ჩვენ ვიქნებით მეოთხე, ნატოს არაწევრი ქვეყანა სწრაფი რეაგირების ძალებში, რაც მიუთითებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ქართული შეიარაღებული ძალების შეთანხმებული მოქმედების მაღალ დონეზე. დღეს სწრაფი რეაგირების ძალების რეზერვში 130 ქართველი მებრძოლია. გარდა ამისა, საქართველო ჩაერთო კრიზისის მართვის ოპერაციებში ევროკავშირის ხელმძღვანელობით. 2014 წელს ქართულმა სამხედრო კონტინგენტმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის ოპერაციებში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. საფრანგეთის შემდეგ ჩვენ ვიყავით ყველაზე მსხვილი წვლილის შემტანი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მისიაში, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონული და საერთაშორისო ძალისხმევის მხარდაჭერას ქვეყანაში სტაბილურობის აღდგენისა და პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად. წელსაც საქართველო მონაწილეობს ევროკავშირის მიმდინარე მისიებში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, მალისა და უკრაინაში,“ — აღნიშნა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის ბრძოლაში.

საქართველოს მთავრობის მეთაური მიიჩნევს, რომ საქართველო მსოფლიო თანამეგობრების საიმედო პარტნიორია.

კორუფცია დაძლეულია - გაგვახარა მსოფლიო ბანკმა

საქართველოს რეიტინგი, კორუფციის კონტროლის მხრივ, 2012 წელთან შედარებით 24 ადგილით გაუმჯობესდა, — საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამის შესახებ ნათქვამია მსოფლიო მმართველობის გრძელვადიან კვლევაში, რომელიც მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა.

2012 წელს, კორუფციის კონტროლის მხრივ, საქართველოს პროცენტული მაჩვენებელი 64,1% იყო, ხოლო 2014 წელს — 75,5%-ს აღწევს.

რეიტინგში საქართველოს შემდეგ დასახელდნენ ევროკავშირის ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა პოლონეთი, ლიტვა, უნგრეთი, ჩეხეთი, ლატვია, სლოვაკეთი, იტალია, ხორვატია, ბულგარეთი, საბერძნეთი, რუმინეთი, ალბანეთი. საქართველოს ჩამორჩებიან ასევე სომხეთი, მოლდოვა, რუსეთი, უკრაინა და აზერბაიჯანი.

მსოფლიო მმართველობის გრძელვადიანი კვლევა 1996-2014 წლების პერიოდს მოიცავს. 200 ქვეყანას შორის, სადაც კვლევის მიხედვით მმართველობის 6 ჯამური ინდიკატორია მოცემული, საქართველოს პოზიციები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია.

◎ „მუშა ფუტკარი“

დავით თევზაძე პოლიტიკაში მოდის

თავდაცვის ყოფილი მინისტრი, მოძრაობა „საქართველო მშვიდობისათვის“ დამფუძნებელი დავით თევზაძე პოლიტიკაში აქტიურად ერთვება და 2016 წლის არჩევნებში მონაწილეობას აპირებს.

„შთაბეჭდილება მრჩება, რომ ადამიანები, რომლებსაც ქვეყნის მართვა ეხებათ, ცოტა არასერიოზულად უყურებენ ამ საკითხს. ეს არის ძირითადი განცდა, რომელიც მე მაქვს. შორს არ წავალ დასაბუთებისთვის, ერთ მაგალითს მოგიყვანთ. ამ სამი დღის მანძილზე გადაწყვეტილების მიმღები არც ერთი პირი სახელმწიფოში არ იმყოფება. პრეზიდენტი, უმაღლესი მთავარსარდალი სხვა კონტინენტზეა წასული. პრემიერი, გადამწყვეტი პირი აღმსრულებელ ხელისუფლებაში, საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად წასულია სხვა კონტინენტზე. ორი დღის წინათ საქართველოდან გაემგზავრნენ თავდაცვის მინისტრი და გენშტაბის უფროსი. მე არ ვიცი, ეს კიდევ სად ხდება, სახელმწიფოში დღეს რომ რამე საგანგებო სიტუაცია შეიქმნას, არ არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია, ადგილზე მიიღოს სერიოზული გადაწყვეტილება და მისი აღსრულება დაიწყოს. ასეთი მაგალითების მოყვანა უამრავი შეიძლება სხვადასხვა სფეროდან.

მივიჩნიე, რომ შესაძლოა, სასარგებლო იყოს ის, რაც მე გადავწყვიტე. ადამიანები, რომლებიც ჩემთან ერთად მოვლენ პოლიტიკაში, იქნებიან მუშა ფუტკრები. მეც ვეცდები, რომ მუშა ფუტკარი ვიყო და არა უბრალოდ სახე“, — განაცხადა თევზაძემ.

როგორც მან განმარტა, პარტიის შექმნის თაობაზე ოფიციალურ განაცხადს ოქტომბრის ბოლოს გააკეთებს.

ნენე სტეფანიშვილი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ორღობის ამბავი მეგონა და რაღაც სერიოზულად ალაპარაკებდნენ მარგველაშვილი ახალაიას, მერაბიშვილს და უგულავას შეწყალებას აპირებსო... რას ფიქრობთ, იკადრებს?

● კახური იუმორი — მეტსახელად მეორე სერია.

„ლეგო“ მალხაზა — ისეთ ავარიაში მოჰყვა, ძლივს ააწყვეს.

„გუგულა“ ნოდარა — მეზობელ სახლში ყველა მოკვდა და იმ სახლში გადავიდა საცხოვრებლად.

„სკვაზნიაკა“ ეთო — ქორწილის ღამეს გამოაგდეს, ქალიშვილი არ იყო.

„ხაშლამა“ ავთო — ადუღებულ წყალში ჩავარდა.

„კვადრატა“ — მემონტაჟეა, ტელევიზორში მოწმესთვის სახეზე კვადრატის დაფარება დააავიწყდა და ის მოწმე მოკლეს მერე.

„მუმუ“ ბესო — თავისი ძაღლი მოკლა.

„ორმოცა“ მარინა — სახეზე ჭარბთმიანობა აქვს და ორმოცამდე არ იპარსავსო.

„მიზანა“ ზაზა — ცალი თვალი არა აქვს და დახუჭული აქვს.

„ბალღიყლაპია“ ციცო — კახელი მეძავი, კონკრეტული მიმართულებით.

„პაპლაუკა“ ზაურა — გემიდან გადმოვარდა, ცურვა არ იცის, მაგრამ გადარჩა.

● ვინც იცით ევროპის სახალხო პარტიის ამოწყვეტის რაიმე ხერხი, აქ თუ მოგერიდებათ, მომწერეთ პირადში.

● საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს და გენერალური შტაბის უფროსს, თავ-თავიანთი კონკრეტული ფუნქცია არა აქვთ, ერთი პრეზიდენტს, მეორე კი თავდაცვის მინისტრს რომ დასდევს გამუდმებით კუდში?!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ნაცებს რა აქვთ სალაპარაკო? გადაჭამეს ქვეყანა!

„სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი“ 2004-2012 წლებში მოქმედი მინისტრების, მინისტრის მოადგილეებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსების ანაზღაურებისა და პრემიების შესახებ კვლევის პირველ ნაწილს ასაჯაროებს.

„სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ წარმომადგენლის შოთა როსტომაშვილის თქმით, წლების განმავლობაში აღნიშნული მონაცემების მიღება თითქმის შეუძლებელი იყო.

„ჩვენ ვიხილეთ ფაქტები, როდესაც ერთსა და იმავე სისტემაში იერარქიულად უფრო დაბალ თანამდებობაზე მდგომი პირები, თანამდებობრივად მათზე მაღლა მდგომ მოხელეებზე მაღალ ანაზღაურებას იღებდნენ.

მაგალითად, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში, 2012 წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით, მინისტრის პირველი მოადგილის ელენე ხოშტარიას ხელფასისა და პრემიის ჯამურმა რაოდენობამ, ერთი წლის განმავლობაში გადააჭარბა იმავე უწყების მინისტრის გიორგი ბარამიძის ანაზღაურების ოდენობას.

(**ელენე ხოშტარიას** ანაზღაურებამ ერთი წლის განმავლობაში შეადგინა 77 873.83 ლარი, ხოლო მინისტრის **გიორგი ბარამიძის** ანაზღაურებამ 65.920.00 ლარი)

ფინანსთა მინისტრის **ნიკა გილაურის** ანაზღაურებამ 2008-2009 წლებში, 14 თვის განმავლობაში 121.588.00 ლარი შეადგინა, რაც ყოველთვიურად დაახლოვებით 9000 ლარს წარმოადგენს, მაშინ როდესაც მინისტრის თანამდებობრივი ანაზღაურება 3540 ლარს შეადგენდა, აღნიშნულ შემთხვევაში მინისტრის პრემია მის ყოველთვიურ ხელფასს აჭარბებს.

2012 წელს, განსაკუთრებით გაიზარდა მთავრობის წევრთა ანაზღაურება. მაგალითად ჯანდაცვის მინისტრის **ზურაბ ჭიაბერაშვილის,** რომლის ხელფასმაც 8 თვის განმავლობაში 63 972.86 ლარი შეადგინა.

ასევე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის **ეკა ტყეშელაშვილის,** რომლის ხელფასმა და პრემიამ 2010 დან 2012 წლამდე, ორი წლის განმავლობაში 147 206.00 ლარი შეადგინა.

დღეს არასამთავრობო სექტორი აქტიურად აშუქებს მოქმედი ხელისუფლების ხელფასებისა და დანამატების საკითხს, და მსგავსი ტიპის ინფორმაციის მოპოვება სრულიად შესაძლებელია“, — ნათქვამია „სამოქალაქო ჩართულობის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი“ აპირებს 2012 წლიდან დღემდე არსებული მონაცემები დეტალურად შეისწავლოს და გაასაჯაროვოს.

ტალახის სროლა უკადრისი საქმეა!..

თუკი საქართველოს ვინმე ჭეშმარიტად დიდი მეცნიერი ჰყოლია, ვისაც ჩვენი ქვეყნის სახელი, როგორც პოეტი იტყოდა, შორს გაუტყორცნია და გაუჯირითებია, ერთ-ერთი უთუოდ აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძეა, ჩვენი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, ვისი სახელიც მთელი მსოფლიოს ენათმეცნიერთათვის ფრიად საპატიო და ანგარიშგასაწევია... მერე რა, რომ 86 წლისაა, ის კვლავ ქართული მეცნიერების ერთი ღონიერი მესაჭეთაგანია, სავსე ქართული პატიოსნებით, რომელიც ზოგ-ზოგი მედროვესავით არასოდეს არ ყოფილა ბოლო ხანს აგრერიგად მომძლავრებულ ბინძურ პოლიტიკას აყოლილი და მუდამ, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მთელ, არცთუ ია-ვარდებით მოფენილ მანძილზე, სათვალმჩენოდ გამოირჩეოდა უტყუარი ქართული მამულიშვილობითა და ადამიანობით.

და აი ამ დიდად ღვაწლმოსილ მეცნიერს ერთ-ერთი გაზეთის ფურცლებზე ჰეროსტრატეს სინდრომით შეპყრობილმა ვინმე გელა დოლიძემ, თამაზ გამყრელიძესთან შედარებით, თავისივე უზრდელურ გამოთქმას თუ მოვივარგებთ, მართლაც სრულმა არარაობამ პოლიტიკური ნაბოდვარი გამოაქვეყნა ასეთი სათაურით: **„აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე ნაცმოძრაობას იატაკის ჩვრად გაეფინა. ამ კაცს მოღალატესაც ვერ უწოდებ, რადგანაც სრულ არარაობად გადაიქცა!“**

ამ ნაბოდვარში უსირცხვილოდ გალანძღულია ასევე მეორე დიდი ქართველი მეცნიერი, გამოჩენილი ისტორიკოსი, აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე. ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, ვიღაცას ძალიან დასჭირდა ჩვენი სახელოვანი ადამიანებისათვის ტალახის სროლა და იმ ვიღაცამ თავისი მოკლე ჭკუით მარჯვედ შეარჩია ადგილიც და დროც.

გუშინ ჩვენს რედაქციას, როგორც ძველი ავტორი და მეგობარი, ეწვია აკადემიკოსი **თამაზ გამყრელიძე** და თავისი **„რჩეული წერილებისა და გამოსვლების“** ახლად გამოცემული კარგა მოზრდილი ტომი მოგვართვა.

რედაქციამ გადაწყვიტა, რომ ამ კრებულიდან მკითხველს შესთავაზოს აკადემიკოს **თამაზ გამყრელიძის** ერთ-ერთი წერილი **„ივანე ჯავახიშვილის „მესამე სიკვდილი“,** რომელიც გარკვეული აზრით პირდაპირი პასუხია ზემოხსენებულ ავად გამიზნულ პოლიტიკურ ნაბოდვარზე.

თამაზ გამყრელიძე

ივანე ჯავახიშვილის „მესამე სიკვდილი“

დავუბრუნოთ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები სახელმწიფო საბაზისო დაფინანსებაზე

ქართული უნივერსიტეტის დაარსება 1918 წელს ჩვეულებრივი უმაღლესი განათლების დაწესებულის შექმნას როდი ნიშნავდა მხოლოდ. ეს, უპირველეს ყოვლისა, იყო ძველი ქართული მეცნიერების აღდგენა და განახლება, მეცნიერებისა, რომელიც ასე წარმატებით ვითარდებოდა შუა საუკუნეების საქართველოში, ისეთ აკადემიებში, როგორიც იყო **გელათის აკადემია, იყალთოს აკადემია** და სხვ.

შემთხვევითი არ არის თუნდაც ის, რომ **ივანე ჯავახიშვილმა** ქართული უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის 26 იანვარს სწორედ **დავით აღმაშენებლის** ხსენების დღეს დაამთხვია. ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ ახლად შექმნილი ქართული ეროვნული უნივერსიტეტი სწორედ ძველი ქართული აკადემიების მემკვიდრედ უნდა განეხილათ. სწორედ აქ, **ივანე ჯავახიშვილის** მიერ შექმნილ **თბილისის ქართულ უნივერსიტეტში,** მოხდა ძველი ქართული სამეცნიერო დარგების აღორძინება და ახალი სამეცნიერო დისციპლინების ჩამოყალიბება; სწორედ აქ შეიქმნა და შემდგომ **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში** განვითარდა საქვეყნოდ ცნობილი ქართული სამეცნიერო სკოლები. ამ უმნიშვნელოვანესი ეროვნული ამოცანის განხორციელების გამოა სწორედ, რომ **ივანე ჯავახიშვილი დიდი ილიას სულიერ მემკვიდრედ იქნა აღიარებული,** რომელმაც ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნება განახორციელა და შექმნა ახალი ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო კერა.

ადვილი გასაგებია, თუ რა ტრაგედია იქნებოდა ივანე ჯავახიშვილისთვის უნივერსიტეტიდან მაშინდელი ხელისუფლების მიერ მისი გაძევება. პირველად ეს მოხდა ჯერ კიდევ 1931 წლის 28 მაისს, როდესაც განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით იგი გაათავისუფლეს უნივერსიტეტიდან.

საქმე ის არის, რომ ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ქვეყანაში გაიშალა შეუპოვარი იდეოლოგიური კამპანია ინტელიგენციის წინააღმდეგ, რასაც მაშინ მრავალი გამოჩენილი ადამიანი შეეწირა. ეს იყო საშინელი **დარტყმა ივანე ჯავახიშვილის ღირსებასა და თავმოყვარეობაზე;** ეს იყო მისთვის პიროვნული ტრაგედია და მორალური სიკვდილი, რომელმაც დაარჩქარა მისი ფიზიკური აღსასრული 1940 წლის 18 ნოემბერს, როდესაც მას გულმა უმტყუნა და იგი მოულოდნელად წაიქცა მოხსენების კითხვის დროს; ივანე ჯავახიშვილი მაშინ სულ 64 წლისა იყო...



„მესამე სიკვდილი“ **ივანე ჯავახიშვილმა** განიცადა უკვე ჩვენს დღეებში, როდესაც მის მიერვე შექმნილ და მისივე სახელობის უნივერსიტეტში, რომელიც ყოველი ქართველისთვის უმაღლესი განათლების მთავარ და წმინდა კერად იქცა და იგი ქართველთა მთავარ ეროვნულ უმაღლეს სასწავლებლად აღიარეს, **ივანე ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტი უქმდება,** უქმდება უმაღლესი განათლების კანონში არსებული მთელი რიგი ხარვეზებისა და ამ კანონის შესაბამისად უნივერსიტეტში ნაჩქარევად და გაუაზრებლად ჩატარებული სტრუქტურული ცვლილებების გამო. ამავე მიზეზით ჩვენს მთავარ ეროვნულ უნივერსიტეტში უქმდება ისეთი ეროვნული კერები, როგორიცაა „რუსთაველის კაბინეტი“, „ვაჟა-ფშაველას კაბინეტი“, „გალაკტიონის კაბინეტი“ და მრავალი სხვა ეროვნული სასწავლო-სამეცნიერო კერა და უნივერსიტეტის უამრავი თანამშრომელი, პირდაპირი გაგებით ქუჩაში გაშვებული აღმოჩნდა...

თუ ამ კანონის შესაბამისად ჩატარებული რეფორმისა და რეორგანიზაციის შედეგად უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში უქმდება ამგვარი სამეცნიერო კაბინეტები და სასწავლო-კვლევითი უჯრედები, ეს ნიშნავს, რომ ასეთ „რეფორმირებას“ არაფერი აქვს საერთო ოპტიმიზაციასთან.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა, გამოსწორდეს არსებული საკანონმდებლო ხარვეზები და შესწორებები უმაღლესი განათლების კანონში. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების (და, პირველ რიგში, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის ეროვნული უნივერსიტეტისა“) სახელმწიფო საბაზისო დაფინანსებაზე დაბრუნება, როგორც ეს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და უმაღლესი განათლების დაწესებულებებშია. ჩვენ გვინდა გადავაქციოთ ჩვენი უმაღლესი განათლების დაწესებულებები ჭეშმარიტად ეროვნული განათლების კერებად, რომლებიც, იმავდროულად, უნდა იდგნენ უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა ტრადიციულად ჩამოყალიბებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო სტრუქტურების ნაჩქარევი დაშლით, არამედ ამ სტრუქტურების გააზრებული და გონივრული რეფორმირების შედეგად გამოცდილი სპეციალისტების მიერ. რეფორმირების სხვა გზა გამოიწვევს ჩვენში ტრადიციულად არსებული მაღალი მეცნიერული და საგანმანათლებლო დარგების ნგრევას და ჩვენი სამშობლოს, მრავალთა შორის, ერთ-ერთ პროვინციულ ქვეყნად გადაქცევას.

ეს ასეც მოხდება, თუ დროულად არ აღვუდექით წინ ჩვენი ტრადიციული სტრუქტურებისა და ფასეულობების გაუმართლებელი და ნაჩქარევი სტრუქტურული ცვლილებების შემოღებას, რეფორმის „ზემოდან“ უპელაციო გატარებას და ყველაფრის ერთი საზომის მიხედვით ნიველირებას.

ნურჩეველ ლიკვიდაციას, ხშირად ყოვლად გა-

**ეს ასეც მოხდება, თუ დროულად არ აღვუდექით წინ ჩვენი ტრადიციული სტრუქტურებისა და ფასეულობების გა-

◎ უპასუხეგენ

ვინ უნდა იყოს პარლამენტის წევრი?

საკანონმდებლო ორგანოში 150 პროპორციული სიით თუ მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატია და საზოგადოება ბევრ მათგანს არ იცნობს, მაჟორიტარ დეპუტატებს ხშირად იმ რაიონის ან ოლქის წარმომადგენლებიც არ იცნობენ, საიდანაც ეს დეპუტატები არიან არჩეული. საკანონმდებლო ორგანოს სიებში ხშირად გვხვდებიან სპორტსმენები, მსახიობები და კულტურის სხვა სფეროს წარმომადგენლები. ეს როგორც ახლანდელი, ისე წინა ხელისუფლებებისთვისაც გახლდათ დამახასიათებელი. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ყოფილმა ლიდერმა დავით საგანელიძემ (რომელიც ახლახან საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელად დაინიშნა), განაცხადა, ბევრი პარლამენტარის ადგილი საკანონმდებლო ორგანოში არ არის, უადგილო ადგილას ყოფნა კი ცოდვაა. საგანელიძემ ისიც აღნიშნა, რომ ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს და ამჟამად მაჟორიტარ დეპუტატს ზვიად ზვიადაურს მასთან საუბარში უთქვამს, ჩემი ადგილი პარლამენტში არ არის, მე ახლა ძიუდოში ახალ თაობას უნდა ვზრდიდეო.

„ყველას ვურჩევ, სწორი გზით იარონ და თავიანთი ადგილი მოძებნონ. უადგილო ადგილას ყოფნა არ შეიძლება, ამისთვის თანამდებობაც ცოდვაა“, — განაცხადა **საგანელიძემ.**

საგანელძის განცხადებას პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია არა ის, ვინ რას აკეთებდა პარლამენტში მოსვლამდე, არამედ მნიშვნელოვანია, პარლამენტში მოსვლის შემდეგ ვინ რას აკეთებს. დავით საგანელიძეს კი ამ თემაზე ჯობდა მაშინ ესაუბრა, როდესაც უმრავლესობის ლიდერი იყო.

ექსპერტ **გია ხუსაშვილს** მიაჩნია, რომ დავით საგანელიძეს ახალი არაფერი უთქვამს, მაგრამ ხელისუფლებას აქვს უზარმაზარი ვალდებულება ხალხის წინაშე, რომელიც თვლის, რომ ხელისუფლებას ემსახურა. ამიტომ, ხელისუფლებას არ აქვს ის კომფორტი, რომ ეს ადამიანები გაანაწყენოს, ის გარკვეულწილად მათი მძევალია.

„ეს არის ჭეშმარიტება და ახალი ამბავი არ უთქვამს საგანელიძეს. სამწუხაროა ის, თვითონ რომ წამოვიდა, ამას მერე აცხადებს. ბევრი პარლამენტარის ადგილი რომ არ არის პარლამენტში, ამაზე ქართველი საზოგადოება ჩამოყალიბებულია. ეს ადამიანები ახალ პარლამენტამდე იქ უნდა ისხდნენ და კიდევ ბევრი რამის გაფუჭება შეუძლიათ. ხელისუფლებას ეს კომფორტი, რომ ეს ადამიანები დროზე ადრე გაანაწყენოს, არ აქვს“, — აცხადებს ექსპერტი For.ge-სთან საუბარში.

საპარლმენტო უმრავლესობის წევრი ანი მიროტაძე თვლის, რომ შესაძლებელია ზვიად ზვიადაური არ არის კარგი კანონშემოქმედი, მაგრამ ზვიადაური მსოფლიო ჩემპიონია და მას ბევრი რამე აქვს გაკეთებული საქართველოსთვის.

„მას ბევრად მეტი აქვს გაკეთებეული ჩემზე, დავით საგანელიძეზე და ბევრზე მეტი. აქედან გამომდინარე, ასე ვერ შეაფასებ, ვისი ადგილია პარლამენტში და ვისი არა. ზვიადაური არის ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატი და იგი ახმეტის მოსახლეობამ აირჩია დეპუტატად და მე პატივს ვცემ მათ არჩევანს. არის თუ არა პარლამენტში ვინმეს ადგილი, ვფიქრობ, ასეთი მკვეთრი განცხადებები არ უნდა გაკეთდეს არა კონკრეტულად ზვიადაურის, არამედ ზოგადად პარლამენტარების მიმართ. რა თქმა უნდა, არის ხარვეზები პარლამენტარების მუშაობაში და უკეთესი იქნებოდა ბევრი კარგი კანონშემოქმედი იყოს საკანონმდებლო ორგანოში. ბევრმა მათგანმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩვენ მოგვეპოვებინა ეს გამარჯვება, — აღნიშნავს **ანი მიროტაძე.**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის აზრით, შესაძლოა, კონკრეტული ადამიანი ტრიბუნასთან არ დგას, მაგრამ ისინი აქტიურად საქმიანობენ მაჟორიტარულ ოლქებში.

„თუ ანი მიროტაძე აქტიურია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვები არაფერს აკეთებენ. არიან ისეთებიც, რომლებიც ძალიან იშვიათად მოდიან პარლამენტში, მუდმივად — ოჯახური მდგომარეობის გამო და არ საქმიანობენ თავიანთ მაჟორიტარულ ოლქებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე გამოვდგე და კონკრეტული ადამიანების შესახებ ვისაუბრო. როდესაც გვექნება პროპორციული სია და ახალი კანდიდატების წარდგენა გვექნება მაჟორიტარულ ოლქებში, სიაში უნდა იყვნენ არა ისინი, ვინც ფულის რა რაოდენობით მოიგებს არჩევნებს და ვინ რამდენ ამომრჩეველს მოისყიდის, არამედ ვინ როგორ იმუშავებს საკანონმდებლო ორგანოში იმ ადამიანების უფლებების დასაცავად და იმ ადამიანების კეთილდღეობისთვის, საიდანაც ირჩევენ ამ დეპუტატს. მე იმედი მაქვს, რომ ახალი სიის შედგენისას, პროფესიონალიზმი იქნება მთავარი პრიორიტეტი“, — აღნიშნავს მიროტაძე.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი **შოთა მალაშხია** For.ge-სთან საუბარში აღნიშნავს: **„საგანელიძე იყო უმრავლესობის ლიდერი და თვითონ უკეთესად იცის ვინ ვარგოდა და ვინ არ ვარგოდა მის გუნდში. რაც შეეხება იმას, უნდა იყვნენ თუ არა სიაში შეყვანილი სპორტსმენები, მსახიობები, მომღერლები — ჩემი პოზიცია ასეთია — სიებში უნდა იყვნენ საქმის პროფესიონალები, სპორტსმენებს კი თავისი ადგილი აქვთ. მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ, ამდენი მოჭიდავე მსოფლიოს არცერთ პარლამენტში არ არის. ზოგადად ყველა პროფესიას პატივს ვცემ, მაგრამ ყველა პროფესიას აქვს თავისი ადგილი. საპარლამენტო სიებში უნდა ხვდებოდნენ ექსპერტები, იურისტები, ეკონომისტები, ფინანისტები, რეგიონალური პოლიტიკის და საერთაშორისო სამართლის მცოდნენი, ანუ ბევრი იმ საკითხისა, რაც პარლამენტში წყდება“,** — აღნიშნავს საკანონმდებლო უმცირესობის წევრი.

ეკა ბუჩუკური

◎ უცნაური სურათი

რამდენით შემცირდა რეალური ხელფასი საქართველოში

ბოლო ერთ წელიწადში დოლარის მიმართ თითქმის ყველა ვალუტა გაუფასურდა. დოლარი, რომელიც 1944 წელს, ამერიკის ქალაქ ბრეტონ-ვუდსში გამართულ კონფერენციაზე მსოფლიოს მთავარ სარეზერვო ვალუტად გამოცხადდა, თავის პოზიციებს არ თმობს.

რამდენად შემცირდა საქართველოს მოსახლეობის შემოსავალი ლარის გაუფასურების და დოლარის გაძვირების გამო? — ამ შეკითხვით bpn-მა ეკონომიკის ექსპერტ სოსო არჩვაძეს მიმართა.

— შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საკმაოდ უცნაური და საინტერესო სიტუაცია გვაქვს — მართალია, ბოლო თვეების განმავლობაში ლარის კურსი დაეცა, მაგრამ ფასების საგანგაშო ზრდას ადგილი არ ჰქონია. საერთოდ, რეალური ხელფასი ინფლაციის მაჩვენებელზეა დამოკიდებული და რაც უფრო მაღალია ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპი, მით უფრო დაბალია საშუალო ხელფასის მსყიდველობითუნარიანობა, მისი რეალური დონე. მინდა ყურადღება მიაქციოთ შემდეგს: 2014 წლის ოქტომბრის შემდეგ, ლარის კურსის დაცემას საქართველოში სამომხმარებლო ფასების კატასტროფული ზრდა არ მოჰყოლია, ანუ თანაფარდობა ლარის გაუფასურების ტემპსა და ფასების ზრდას შორის არ შეიმჩნევა. შედარებისთვის: ლარის კურსი დაახლოებით 40%-ით დაეცა, ხოლო ფასები - 7-8%-ით გაიზარდა.

— როგორ ითვლიან რეალურ ხელფასს საქართველოში?

— სტატისტიკის სამსახურის მუშაკები რეალური ხელფასის დათვლისას ნომინალურ ხელფასს სამომხმარებლო ფასების ინდექსზე ყოფენ. წელს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაცხადა, რომ საშუალო ხელფასი სადღაც 940 ლარამდეა. თუ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარება გვინდა, ეს ციფრი ინფლაციის საშუალო მაჩვენებელზე უნდა გავყოთ: 2015 წლის აგვისტოში, 2014 წლის აგვისტოსთან შედარებით, წლიური ინფლაციის დონემ 5,4 პროცენტი შეადგინა. ვღებულობთ საშუალოდ 880 ლარს, ანუ რა გამოდის? — ამ ხნის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ადგილი არ ჰქონია რეალური ხელფასის მნიშვნელოვან დაცემას.

— ბატონო სოსო, თქვენი აზრით, რატომ არ გაიზარდა საგრძნობლად ფასები?

— ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა დაბალია და მეწარმეები ბოლო მომენტამდე ცდილობენ საცალო ფასები არ გაზარდონ, რადგან ფასების ახალ ნიშნულზე გადაყვანა აუცილებლად გამოიწვევს მათ ნაწარმზე მოთხოვნის შემცირებას. ამიტომ, საინტერესო მოვლენის წინაშე აღმოვჩნდით: ეროვნული ვალუტა გაუფასურდა, მაგრამ ამ მოვლენას არ მოჰყოლია რეალური ხელფასის მკვეთრი დაცემა. არ არის გამორიცხული, რომ მომავალში საპირისპირო ტენდენცია მივიღოთ: მეტ-ნაკლებად შენელდეს ლარის კურსის დაცემა, მაგრამ ფასებმა მოიმატოს, რასაც ელექტროენერგიის ფასის ზრდა გამოიწვევს — ყველამ ვიცით, რომ მოსახლეობას ელექტროენერგია დაახლოებით 1/3-ით გაუძვირდა.

— ისიც უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში ხელფასი 940 ლარის ოდენობით ბევრს არა აქვს...

— სამწუხაროდ, ჩვენთან დასაქმებულთა რაოდენობა მცირეა. ცოტაა ხალხი, ვინც რეგულარულად იღებს ხელფასს, ან ხელფასის ტიპის ანაზღაურებას, რადგან ყოველ 100 ადამიანზე მხოლოდ 52-53 მუშაობს. ამიტომ, ჩვენ ახლა იმათზე ვმსჯელობთ, ვინც მუშაობს და დასაქმებულია.

— აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემცირდა იმ ხალხის შემოსავალი, ვისაც მაღალი ხელფასი აქვს, მაგრამ ბანკის ვალს ისტუმრებს...

— გეთანხმებით, იმათი მდგომარეობა, ვინც საბანკო სექტორთან არის დაკავშირებული, ან იპოთეკით დატვირთული სესხი აქვს აღებული, გაცილებით მძიმეა, ვიდრე ეს სამომხმარებლო ფასების ინდექსით მოჩანს: თუ მათ ყოველთვიურად გადასახდელი ჰქონდათ 200 დოლარი, ახლა გაცილებით მეტის გადახდა უწევთ, ვიდრე ერთი წლის წინათ უწევდათ. ამიტომ თუ შევადარებთ ხელფასს და საბანკო სესხების რაოდენობას, მაშინ მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა კიდევ უფრო მეტად არის შემცირებული. იმ სესხების გამო, რაც ჩვენს მოსახლეობას დოლარში აქვს აღებული, დაახლოებით 120 მილიონი ლარით მეტის გადახდა უხდებათ მარტო პროცენტის სახით. მით უმეტეს, ვისაც მაღალი ხელფასი აქვს, იმას ხშირად სესხიც აქვს. როგორც წესი, ჩვენი საკრედიტო დაწესებულებები არ აძლევენ სესხს იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ შემოსავალი ან ფინანსური სტაბილურობის სხვა მაჩვენებელი, მაგალითად, ქონება, რომელიც შეიძლება იპოთეკით დატვირთო. ამიტომ, მაღალი შემოსავლის მქონე პირები უფრო ხშირად მიმართავენ საკრედიტო დაწესებულებებს. რაც შეეხება სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით დაანგარიშებულ რეალურ ხელფასს, ის ასე საგანგაშოდ არ გამოიყურება.

— საკმაოდ უცნაურ სურათს ვიღებთ. რატომ?

— ეს იმიტომ ხდება, რომ ქვეყანაში ფასები კატასტროფულად არ გაზრდილა, მაგრამ ძალიან შემცირდა ფულადი ერთეულის მსყიდველობითუნარიანობა. ლარის კურსის დაცემა და კრედიტების მომსახურება მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის სერიოზულ ტვირთს წარმოადგენს. ოფიციალური მონაცემების მიხედვით თუ ვიანგარიშებთ, ხელფასის ერთეულის მსყიდველობითუნარიანობა მხოლოდ 7-8 პროცენტით შემცირდა, თუმცა, სინამდვილეში სიტუაცია გაცილებით რთულია.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ რთველი-2015

კახეთში 84 ათასი ტონა ყურძენია გადამუშავებული

ღვინის კომპანიებს ყურძენი 11 ათასამდე მევენახემ ჩააბარა, — ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

29 სექტემბრის 12.00 საათის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 84 ათასი ტონა ყურძენი. რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა კი რეგიონში 52 მლნ ლარს მიაღწია.

გადამუშავებულია 39,5 ათასი ტონა რქაწითელი, 33,5 ათასი ტონა საფერავი, 2 ათას ტონამდე კახური მწვანე და 9 ათას ტონამდე სხვა ჯიშის ყურძენი.

ყველაზე დიდი რაოდენობით ყურძენი გადამუშავდა გურჯაანის მუნიციპალიტეტში — 29 ათას ტონამდე.

ამ ეტაპზე გადამუშავების პროცესში ჩართულია 67 კერძო და სახელმწიფოს მიერ დაქირავებული 18 ღვინის საწარმო.

24 სექტემბერს აღირიცხა დღეღამური გადამუშავების ბოლო 25 წლის რეკორდული მაჩვენებელი — 7,1 ათას ტონამდე ყურძენი.

რაც შეეხება ღვინის ექსპორტს, 28 სექტემბერის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 23,3 მილიონი ბოთლი ღვინო. აქედან მხოლოდ სექტემბრის თვეში ექსპორტზე გავიდა 3,5 მილიონი ბოთლი, რაც მიმდინარე წლის ყველაზე მაღალი ყოველთვიური მაჩვენებელია. ქართული ღვინის ექსპორტი 2015 წლის დასაწყისთან შედარებით სამჯერ გაიზარდა. ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეული ასეთია: რუსეთი — 12,1 მილიონი ბოთლი; ყაზახეთი — 3,4 მილიონი ბოთლი, უკრაინა -1,9 მილიონი, ჩინეთი — 1,4 მილიონი ბოთლი, პოლონეთი 1,1 მილიონი ბოთლი.

◎ ეროვნული ვალუტა



ლარი ახალ ნიშნულს ეძებს

უკვე რამდენიმე დღეა, ეროვნული ვალუტა მეთოდურად და ნაბიჯ-ნაბიჯ მყარდება. როგორც ჩანს, ეს ტენდენცია უახლოეს მომავალშიც გაგრძელდება, ვიდრე ლარი ახალ წონასწორულ ნიშნულს არ იპოვის. მაინც სადამდე შეიძლება გამყარდეს ეროვნული ვალუტა?

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯერ პირველ ეტაპზე ლარი იქნება სტაბილური და შემდგომ იქნება გამყარების ტენდენცია, — განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ სასტუმრო „რედისონში“ ბანკების მმართველთა კლუბის ღონისძიებაზე.

„ჩვენ თავი შევიკავეთ რეზერვების ხარჯვისგან მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. ეს არის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, ვინაიდან ამ პირობებში ეს იქნებოდა რეზერვების განიავება, მაგრამ ვინაიდან სხვა მაკროპარამეტრები უკვე ამოწურულია, ჩვენი სავალუტო ინტერვენციები არის გზავნილი ბაზრების მონაწილეებისთვის, რომ სხვა თანაბარ პირობებში კურსი არის თავის მაქსიმუმზე.

ეს იყო ამ ინტერვენციის მთავარი მიზანი და მომავალშიც თუ განხორციელდება სავალუტო ინტერვენციები ჩვენს მიერ, ეს არის ამ ყველაფრის ნაწილი. ასევე კომბინაციაშია ყველა იმ ღონისძიებასთან, რომელიც უნდა განვახორციელოთ, როგორც ჩვენ, ასევე მთავრობამ“, — განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

მისი თქმით, მოკლევადიანი მერყეობა არის ნორმალური ისეთი საკურსო რეჟიმისთვის, როგორიც საქართველოს აქვს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, ან საშუალოვადიან პერსპექტივაში განსაკუთრებით, იქნება ჯანსაღი და თანამიმდევრული პოლიტიკა.

სებ-ის პრეზიდენტის აზრით, აუცილებელია სავალუტო ნაკადების აღდგენა სხვადასხვა წყაროებით. **„თუ აღდგება შემოსავლები, თუ აღდგება ინვესტიციები, თუ ჩვენ დავუბრუნდებით იმ ნიშნულს, რა ნიშნულიც გვქონდა ამ პროცესების დაწყებამდე, თავისთავად ცხადია, ლარს ექნება გამყარების ტენდენცია არა თუ თეორიული, არამედ სავსებით შესაძლებელია დაუბრუნდეს იმ ნიშნულს, რაც იყო მანამდე“,** — დასძინა გიორგი ქადაგიძემ.

ამასობაში სპეციალისტები და ბიზნესმენები პროგნოზებს არ იშურებენ ლარის კურსის სამომავლო ნიშნულის განსასაზღვრავად. ფინანსთა ყოფილი მინისტრი მირიან გოგიაშვილი სამომავლოდ ლარის კურსის კიდევ უფრო გაჯანსაღებას ვარაუდობს. მისი თქმით, მონეტარული აგრეგატები იმ დონეზეა დაბალანსებული, რომ ეროვნულმა ბანკმა 40 მილიონი დოლარიც ვერ გაყიდა.

„ვითიბი ბანკის“ გენერალური დირექტორი არჩილ კონცელიძე კი ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვან გამყარებას არ ელოდება. მისი აზრით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში 2,35-2,40 ლარის ფარგლებში იქნება და ეს არის წონასწორობის ახალი ნიშნული.

დაგროვების მართვის კომპანია „პირადი ბანკირის“ აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი ბერძენაძე ლარის უფრო მეტად გაჯანსაღებას ელის. მისი აზრით, წონასწორობის ახალი ნიშნული 2.2 ან 2.15 იქნება. ლარის გამყარება რამდენიმე ფაქტორით იქნება განპირობებული, მათ შორის, შემოსული ინვესტიციების რაოდენობით, რომელიც ქვეყანაში საშემოდგომოდ ყოველთვის იზრდება. ამას დაემატება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები და რეგიონის ქვეყნების ვალუტების გამყარება.

ბეჭა დანელია

◎ სიტყვა და საქმე

გადასახადების სწორად და სამართლიანად წარმოებისთვის შეთანხმება გაფორმდა

საქართველოსა და ლატვიას შორის საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმება გაფორმდა.

შეთანხმებას საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, შემოსავლების სამსახურის უფროსმა გიორგი თაბუაშვილმა და ლატვიის სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის გენერალურმა დირექტორმა ინარა პეტერსონემ მოაწერეს ხელი.

დოკუმენტი გადასახადების სწორად და სამართლიანად ადმინისტრირებისთვის ორი სახელმწიფოს საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას გულისხმობს. შეთანხმების ამოქმედების შედეგად ასევე გადასახადების უკანონოდ შემცირების, გადასახადების გადახდისგან თავის არიდებისა და საგადასახადო თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო ეფექტურად წარიმართება.

1 ოქტომბრამდე, ვიზიტის ფარგლებში, ლატვიის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლები სამუშაო შეხვედრებს გამართავენ ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის სტრუქტურულ ერთეულებთან, რათა ქართველი კოლეგებისგან მიიღონ ინფორმაცია საქართველოში განხორციელებული რეფორმების შესახებ. თავის მხრივ, ლატვიელი კოლეგები ქართველ ექსპერტებს გაუზიარებენ ევროკავშირთან ჰარმონიზებისა და ინტეგრაციის პროცესებში შეძენილ გამოცდილებას.

მარკირების ელექტრონულ წესზე გადასვლით მოსახლეობა არ დაზარალდება

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელ კომპანიებთან დიალოგს აგრძელებს.

ნოდარ ხადურმა გასვლითი შეხვედრა გამართა „ქართული ლუდის კომპანიაში“, რომელიც ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა. ფინანსთა მინისტრი კომპანიის ბრენდული ლუდებისა და ლიმონათების ჩამოსხმის პროცესს გაეცნო. შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა არააქციზური პროდუქციის ელექტრონულ მარკირებასთან დაკავშირებული საკითხები გახდა. როგორც ცნობილია, ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინა მწარმოებელ კომპანიათა თხოვნა და სეზონურობასთან დაკავშირებით მარკირების დაწყების თარიღი 1 ნოემბრამდე გადაავადა. საწარმოს წარმომადგენლებმა ფინანსთა მინისტრს და მედიას აჩვენეს ქარხანაში დამონტაჟებული მარკირებისთვის საჭირო აპარატურა და პროცესი, თუ როგორ მოხდება პროდუქციის მარკირება.

„მნიშვნელოვანია, რომ საწარმო მზადაა მარკირების ელექტრონულ წესზე გადასასვლელად. როგორც მოსახლეობას დავპირდით, ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ აისახება პროდუქციის ფასზე, რისთვისაც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური საკუთარი შემოსავლებიდან დააფინანსებს სისტემის დანერგვას და ბიზნესს არ მოუწევს თანხის გადახდა მარკირებაში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოწესრიგებული იყოს აღრიცხვიანობა, არ გაძვირდეს პროდუქცია და ბიზნესს არ შეექმნას დამატებითი ბარიერები“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა. **„ქართული ლუდის კომპანიის“ გენერალური დირექტორის ვასილ სულხანიშვილის განცხადებით, ქარხანა ტექნიკურად მზადაა, სავალდებულო ელექტრონულ მარკირებას დაექვემდებაროს საწარმოს მიერ გამოშვებული უალკოჰოლო სასმელები.**

თბილისის მერიას, სამგორისა და გლდანის გამგეობებს ამოწმებენ

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ქალაქ თბილისის მერიაში შემავალი სხვადასხვა უწყების შემოწმებას ახორციელებს, — ამის შესახებ გენერალურმა აუდიტორმა ლაშა თორდიამ იმ შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, თუ რომელ უწყებაში მიმდინარეობს ამჟამად შემოწმების პროცესი.

როგორც გენერალურმა აუდიტორმა აღნიშნა, ამჟამად შემოწმების პროცესი ხორციელდება თბილისის მერიაში შემავალ ძალიან ბევრ სამსახურში, მათ შორის კეთილმოწყობის სამსახურში, თბილისის მერიის ადმინისტრაციაში, ასევე სამგორისა და გლდანის გამგეობებში. მისივე თქმით, სულ ახლახან გამოქვეყნდა დასკვნა საკრებულოსთან დაკავშირებით, სადაც ასევე საუბარი იყო არაერთ დარღვევაზე.

ინტერპრესი

◎ კვლევა

ნავთობპროდუქტების ბაზარზე კარტელური შეთანხმება გამორიცხული არ არის

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ ნავთოპროდუქტების ქართული ბაზრის შესახებ მეორე კვლევა გამოაქვეყნა. კვლევის საანგარიშო პერიოდი 2010-2015 წლებს მოიცავს, ანგარიში დარგში არსებულ ტენდენციებს მიმოიხილავს და რეკომენდაციებსაც წარმოადგენს.

კვლევის შედეგად რამდენიმე საინტერესო მიგნება გამოიკვეთა. ნავთოპროდუქტების ბაზრის შესწავლა 2014 წლის ნოემბრის შემდგომ დაიწყო, როდესაც გაზრდილი უფლებამოსილების მქონე კონკურენციის საგენტო შეიქმნა, და მისი მიზანი ფირმების მიერ ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დადგენა იყო. მოგეხსენებათ, ამ კვლევის საფუძველზე, 2015 წლის ივლისში კანონმდებლობის დარღვევისთვის 8 კომპანია 55 მილიონამდე ლარით დაჯარიმდა. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში გაიზარდა სახელმწიფოს მხრივ დარგის კონკურენციის დაცვა.

არასახარბიელო მდგომარეობაა საბითუმო და საცალო ქსელში მიწოდებული საწვავის ხარისხის კონტროლის მხრივ, რადგან ქვეყანაში ამ პროდუქციის ხარისხობრივი ნორმების კონტროლის მექანიზმი არ არსებობს და შეუძლებელია ნორმების დარღვევისთვის ადეკვატური სანქციის დაწესება. ნავთობპროდუქტები მოწმდება მხოლოდ დაინტერესებული მხარის მომართვის საფუძველზე. 2010-2015 წლებში სულ შემოწმდა 489 ნიმუში (ბენზინის და დიზელის), საიდანაც 38 % (187 ნიმუში) კანონმდებლობით განსაზღვრულ ხარისხობრივ ნორმებს არ აკმაყოფილებდა.

საინტერესოა, ხელისუფლების შეცვლასთან ერთად, რამდენად შეიცვალა ბაზარზე გამოკვეთილი ოლიგოპოლიური სტრუქტურა, ხუთი დომინანტი კომპანიით. **კვლევის თანახმად, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2013-2014 წლებში ნავთობპროდუქტების ბაზარზე კონკურენცია მცირედ გაიზარდა, თუმცა, ბაზრის სტრუქტურა სასურველისგან კვლავ შორს არის. 2013 წელს მსხვილი საწარმოების წილი მთლიან ბრუნვაში, წინა წელთან შედარებით, 2 პროცენტით შემცირდა და 93 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება სხვა მაჩვენებლებს, 2013-2014 წლებში საავტომობილო საწვავის იმპორტიორი კომპანიების რიცხვი, 2012 წელთან შედარებით, რამდენჯერმე გაიზარდა, თუმცა, კვლავ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე 2008 წლამდე იყო.**

რაც შეეხება ნავთოპროდუქტების ფასებს, კვლევის მიხედვით, მთლიანობაში, საწვავის ადგილობრივი ფასები ნავთობის მსოფლიო ფასების საერთო ტენდენციას მიჰყვებოდა, თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც მსოფლიო ფასების ცვლილება ქართულ ბაზარზე რამდენიმე თვის დაგვიანებით აისახებოდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალში საცემია ფასების კლების დროს. ამასთან, **ნავთობპროდუქტებზე ქართული ბაზრის ხუთი ძირითადი მოთამაშის ფასები ბოლო სამი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, ერთდროულად იცვლებოდა. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ ნავთობპროდუქტების ქართულ ბაზარზე კარტელურ შეთანხმებას არ გამორიცხავს.**

ძირითადი მიგნებების საფუძველზე, კვლევა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შემდეგ რეკომენდაციებს წარუდგენს: **პირველ რიგში, საჭიროა შეიქმნას ნავთობპროდუქტების ხარისხობრივი ნორმების დაცვის კონტროლის ერთიანი სახელმწიფო მექანიზმი, რომელიც მოიცავს საწვავის მიწოდების ჯაჭვის ყველა ეტაპს — საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გადმოკვეთიდან საცალო ქსელში მიწოდებამდე.** ამ მიზნით საჭიროა პერიოდულად მოწმდებოდეს ავტოგასამართი სადგურები და შესაბამისი სახელმწიფო უწყებები საწვავის ხარისხს აკონტროლებდნენ. ამასთან, უნდა გამკაცრდეს სანქციები საწვავის სტანდარტების დარღვევისთვის და სახელმწიფოს შესაბამისმა უწყებებმა უნდა შეაგროვონ და პერიოდულად გამოაქვეყნონ საქართველოში რეალიზებული საწვავის სახეობათა შესახებ სტატისტიკური მონაცემები, რაც საწყის ეტაპზე დამატებითი ბერკეტი იქნება ადგილობრივ ბაზარზე არსებული საწვავის სახეობათა ხარისხობრივი ნორმების გასაკონტროლებლად.

ნინო ევგენიძე

რუსეთის პრობლემა და ქართული დიპლომატია

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს, თანამედროვე რუსეთი მისი წინამორბედების დარად აგრძელებს საქართველოს მიმართ თანმიმდევრულად მტრული და უალრესად ხისტი პოლიტიკის გატარებას. დიდია ალბათობა იმისა, რომ რუსეთის აგრესიულობა კიდევ უფრო გაიზრდება. მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის კარგი ცოდნა, თუნდაც ზემოთ აღნიშნული აგრესიის პრევენციის თვალსაზრისით.

შეცდომას უშვებს ის, ვინც ცდილობს რუსეთისა და რუსული სახელმწიფოებრიობის ფენომენის ანალიზის პრიმიტიულ კლიშეებამდე დაყვანას. ზემოთ აღნიშნულის მკაფიო მაგალითია თუნდაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის დემონიზაცია, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო სააკაშვილისეული პროპაგანდისათვის.

პრაქტიკულად, ანალოგიურ კონტექსტში უნდა იყოს განხილული რუსეთის იდეალიზაციაც და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული მითი, რუსული სახელმწიფოს ფარგლებში „ორი რუსეთის“ — „კეთილი რუსეთისა“ და „ბოროტი რუსეთის“ არსებობის შესახებ.

ერთი სიტყვით, ცდებიან ქართველი რუსოფობებიცა და რუსოფილებიც.

ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ პირველი, რაც ადამიანს აზრად მოდის რუსეთზე საუბრისას, ამ ქვეყნის სიღრმისეული შეცნობის მძაფრი მოთხოვნილებაა, ზემოთ აღნიშნული მცდელობის ამაოების განცდასთან ერთად, ზუსტად ისე, დიპლომატსა და პეტს ფიოდორ ტიუტჩევს რომ აქვს გადმოცემული თავის ცნობილ ლექსში:

„Умом Россию не понять,
Аршином общим не измерить.
У ней – совсем другая стать,
В Россию можно только верить“.

„გონებით რუსეთს ვერ განსჯი, საერთო არშინსაც ვერ მიუსადაგებ. ის ყველასგან გამორჩული ბუნებისაა, რუსეთის მხოლოდ უნდა გწამდეს“.

რატომღაც მგონია, რომ ამ უდავოდ ნიჭიერ და პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ ლექსში უფრო ტიუტჩევი-დიპლომატი საუბრობს, ვიდრე ტიუტჩევი-პოეტი.

„ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“ ისეა, ვინაიდან ვინც იწამა უანგაროდ რუსეთის სახელმწიფოსი, რა მიიღო სანაცვლოდ — კარგად ვიცით. საქართველოს უახლეს ისტორიას რომ დავანებოთ თავი, ერეკლე მეორის დროინდელი ქართული დიპლომატიისა და ბაგრატოვანთა უძველესი მონარქიის კრახიც გვეყოფა ქართველებს ამის გასახსენებლად.

გაცილებით უფრო სიღრმისეულია და ნაკლებად „დერჟავული“ რუსული სახელმწიფოებრიობის ფენომენის ვლადიმირ სოლოვიევისეული გაგება:

„О, Русь! В предвиденые высоком
Ты мыслью гордой занята;
Каким же хочешь быть Востоком.
Востоком Ксеркса иль Христа?“

„ო, რუსეთო! მაღალი განჭვრეტისას შენ ამაყი აზრით ხარ შეპყრობილი;

მაშ, როგორი აღმოსავლეთი გინდა იყო: ქსერქსეს თუ ქრისტეს აღმოსავლეთი?“

შინაგანი პატიოსნებისა და რაფინირებული ინტელექტუალისათვის ჩვეული რეფლექსიიდან გამომდინარე, ვლადიმერ სოლოვიოვი ჰამლეტისეულ სტილში სვამს ამ უმნიშვნელოვანეს კითხვას, რომელზე პასუხიც მისთვის უცნობია.

მაინც რა არის მიზეზი რუსული სახელმწიფოს პერმანენტული აგრესიულობისა?

ჩემი აზრით, ეს არის „მოსკოვის რუსეთის“ მიერ მონღოლური სამხედრო-სახელმწიფო სტრუქტურების ბრმა კალკირება, ბიზანტიური მესიანიზმი და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორი. თუმცა, მთავარი მიზეზი უფრო პროზაულია, რასაც მიხაილ ლერმონტოვზე უკეთ, ალბათ, ვერავინ იტყოდა:

„Прощай, немытая Россия,
страна рабов, страна господ,
и вы, мундиры голубые, и ты,
им преданный народ.
Быт может, за стеной Кавказа
сокроюсь от твоих царей“.
От их всевидящего глаза, от их все
слышащих ушей“.

„მშვიდობით, პირდაუბანელო რუსეთო, მონებისა და მათი პატრონების ქვეყანავ, და თქვენ ცისფერმუნდირიანნო და შენ „ერთგულო ხალხო“. იქნებ კავკასიის მთებს მაინც შევაფარო თავი თქვენ მეფეთა დევნისაგან, რათა დავაღწიო თავი მათ ყოვლიმხედველ თვალებსა და ყოვლისმსმენ ყურებს“.

იქიდან გამომდინარე, რომ არც სამხედრო ძლიერებით გამოვირჩევით და არც არავის დახმარების იმედი უნდა გვქონდეს, საქართველოს ყოფნა-არყოფნა რუსეთთან მიმართებაში რელევანტური პოლიტიკის გატარების უნარსა და მაღალპროფესიული დიპლომატიური სამსახურის დახვეწილ მუშაობასთანაა დაკავშირეული. ყველაფერი ზემოთ აღნიშნული კი ქართველი დიპლომატებისაგან არამარტო რუსული პოლიტიკის, რუსული ეროვნული მენტალობისა და კულტურის სიღრმისეულ ცოდნას მოითხოვს.

ძალიან ძნელია, მოვთხოვოთ ახალგაზრდა ქართველ დიპლომატებს ზემოთ აღნიშნული უნარ-ჩვევები, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის წლებში დაშვებული შეცდომებითაც არის განპირობებული. თუნდაც ისეთით, როგორიც იყო სააკაშვილის მიერ რამდენიმე წლის წინათ მიღებული სასაცილო გადაწყვეტილება საზოგადოებრივ ადგილებში რუსულენოვანი სიმღერების აკრძალვის შესახებ.

ამ ყოვლად პრიმიტიული ლოგიკით რომ ეხელმძღვანელათ, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა თუ სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში, პირველი და მეორე მსოფლიო ომის წლებში უნდა აეკრძალათ ბეთჰოვენის, შუბერტის, ვერდის მუსიკა. საკანონმდებლო წესით შეეზღუდათ გერმანული რომანსების, იტალიური ლირიკული სიმღერების შესრულება ან თუნდაც გერმანული (ორივე მსოფლიო ომის დროს), იტალიური და იაპონური (მეორე მსოფლიო ომის დროს) ლიტერატურის გამოცემა.

არაფერი მსგავსი არ მომხდარა. უფრო მეტიც — ისეთ ტოტალიტარულ, ერთმანეთთან დაუნდობელ ომში ჩაბმულ ქვეყნებშიც კი, როგორიც იყო ფაშისტური გერმანია და სტალინური საბჭოთა კავშირი, მოსახლეობა და პოლიტიკური ელიტა სიამოვნებით უსმენდნენ, გერმანიაში — რუსულ რომანსებსა და, საბჭოთა კავშირში — გერმანულ საესტრადო სიმღერებს („როზამუნდა“ საერთო სახალხო „ჰიტადაც“ კი იქცა იმ დროინდელ რუსეთსა და საქართველოში).

რად ღირს თუნდაც ის ყოვლად სამარცხვინო ფაქტი, რომ დღევანდელმა საქართველომ მისი პოლიტიკური ელიტის სიბრიყვის გამო „მაზოხისტური სიამოვნებით“ დათმო ყველა ქვეყნისათვის ესოდენ სასურველი ისეთი კულტურულ-შემეცნებითი მონაპოვარი, როგორიცაა მსოფლიო მნიშვნელობის ენის (მხედველობაში მაქვს რუსული ენა) ე.წ. „მატარებლის“ — „Native Speaker“-ის სტატუსი.

შედეგად კი რა მივიღეთ?

„მტრის“ ენაზე ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი — „Моя твоя не панимай... куши куши мала мала“-ს, ხოლო „მეგობრების“ ენაზე — „How do you do — სევაიდუს“ დონეზე მეტყველებს.

ყოჩაღ მიშა და ბარაქალა პეტრო პოროშენკო!

ისე ილია ილფის, ევგენი პეტროვისა და ისაკ ბაბელის მშობლიურ ოდესაშიც თუ დაავიწყებს სააკაშვილი ასევე მალე ხალხს რუსულ ენას, პირდაპირ ეთერს მოვითხოვ „რუსთავი-2“-ში და ალალად შევძახებ: „მიშა მაგარია!“

იქიდან გამომდინარე, რომ გონებრივად ჩამორჩენელებისა და სხვა მძიმე ფსიქიკური დაავადებით შეპყრობილ ადამიანთა გარდა, ყველასთვის ნათელია, რომ რუსეთს სამხედრო ძალით ვერ დავამარცხებთ, თავის გადარჩენა მხოლოდ დიპლომატიური გზით შეგვიძლია. მაგრამ, აქაც არის აზრთა სხვაობა.

მაგალითად, არის მოსაზრება, რომ რუსეთთან მოლაპარაკებებს არავითარი აზრი არა აქვს და ეს დიალოგი საზიანოა საქართველოსათვის.

ამაზე, როგორც ძველი დიპლომატი, ერთს დავსძენდი: მეზობელ სახელმწიფოსთან დიალოგი ჩვენი ქვეყნისათვის საზიანო მხოლოდ მთავრობის მცდარი პოლიტიკური კურსისა და დიპლომატების არაპროფესიონალიზმის შემთხვევაში შეიძლება გახდეს.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეწყდა რუსეთთან დღეს არსებული ყველა დიპლომატიური კომუნიკაცია, ხომ ყველასთვის ნათელია, რომ ჩრდილოელ მეზობელთან სერიოზული დიალოგის დაწყებას მომავალში ალტერნატივა არ გააჩნია?

და ამისთვის მზად არ უნდა ვიყოთ? ვფიქრობ, რომ პასუხი ამ კითხვაზე ყველასთვის ნათელია!

საბედნიეროდ, დღეს გვყავს თუნდაც ზურაბ აბაშიძე და არც თუ ისე ბევრი სხვა ქართველი დიპლომატები, რომლებიც რუსულ ენაზე უზადოდ მეტყველებენ და გამართულად წერა-კითხვაც ხელეწიფებათ.

მაგრამ რა იქნება 5-10 წლის შემდეგ, როდესაც უფროსი თაობა აქტიური დიპლომატიიდან წავა? ნეტა, რა ჰგონიათ ჩვენ რუსულის არმცოდნე ახალგაზრდა დიპლომატებს, რუსები მათ ინგლისურად დაელაპარაკებიან? და რომც დაელაპარაკონ, როგორ გგონიათ, ასეთი დიალოგი კეთილგანწყობილი და პროდუქტიული იქნება?

ძალიან მეეჭვება...

დიპლომატიის ანბანია ის, რომ ყველაზე რთული ამ დარგში სწორედ მოლაპარაკებების წარმოებაა. ამ ამოცანის ჯეროვანი შესრულება კი ოპონენტთან სრულყოფილი კომუნიკაციის მიღწევის უნართანაა დაკავშირებული, რაც მოლაპარაკებების პროცესში ჩართული უცხო ქვეყნის ენის, კულტურის, მენტალური თავისებურებებისა და მრავალი სხვა ნიუანსის საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს. ხომ ვახსენე უკვე, რომ დიდი ომების დროსაც კი პირველ რიგში მტრის ენის შესწავლა იყო ხოლმე ყველაზე საშური.

ასე იყო და არის მთელ მსოფლიოში. გამონაკლისი ერთადერთი ქვეყანაა საქართველო ხომ არ არის, ნეტავ?

და რისი იმედი გვაქვს ჩვენ? იმისი, რომ რუსეთში მაცხოვრებელ ქართველებს გამოვიყენებთ ამისათვის? ერთობ საშიში ილუზიაა!

არ მინდა ამ საკმაოდ დელიკატურ სფეროში უფრო ღრმად შესვლა, ეს ქართული სპეცსამსახურების პრეროგატივაა, მაგრამ ლაპარაკის დაწყება ამაზეც ხომ საჭიროა.

ასეა თუ ისე, ყველაფერი ზემოთ აღნიშნული, მომავლის საქმეა, მაგრამ რუსეთი დღესაც რომ ჩვენი მეზობელია?

საბედნიეროდ, ზურაბ აბაშიძისა და მისი კოლეგების გარდა, ჩვენ ქვეყანაში საკმაოდ არიან სხვებიც, მათ შორის ყოფილი დიპლომატებიც (თუკი შესაძლებელია გამოვიყენოთ ამ რთული და მრავალწახნაგოვანი პროფესიის წარმომადგენლების დასახასიათებლად ყოვლად უადგილო ეპითეტი — „ყოფილი“), რომლებიც, რუსული ენაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ ერის მენტალობას, კულტურას „Дорогие друзья, приезжайте в Грузия“-ს დონეზე ბევრად უკეთესად იცნობენ და ახალგაზრდა თაობისაგან განსხვავებით, რუს კოლეგებთან ურთიერთობების (დიპლომატიური მოლაპარაკებების ჩათვლით) წარმატებული გამოცდილებაც გააჩნიათ.

ცუდი ის არის, რომ ქართულ სახელმწიფოს და ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ უწყებას ზემოთ დასახელებული, გამოცდილი დიპლომატების ნაწილი საფუძვლიანად ჰყავს მივიწყებული.

ცოტა ზედმეტი ფუფუნება ხომ არ არის ჩვენსავით მწირი საკადრო რესურსების მქონე ქვეყანაში ასეთი „გულმავიწყობა“?

ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ როგორც ეს ჩვენში ხშირად მომხდარა და ჩვევადაც გვექცა, „თითზე საკბენად“ არ გაგვიხდება ამის გამო საქმე?

არ მინდა ვიყო კატეგორიული, მაგრამ ჩემთვის ნათელია, რომ:

ჩვენი სამშობლოს მომავალი დიდ საფრთხეშია და ეს საფრთხე ჩრდილოეთიდან მოდის, რაც თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობისათვის უდიდესი გამოწვევაა;

მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, მცირეოდენი გამონაკლისების გარდა, ჩვენი ქვეყანა და მისი დიპლომატია, ჯეროვნად ვერ ართმევდა თავს ზემოთ აღნიშნული გამოწვევის დაძლევის რთულ ამოცანას, რისი დასტურიცაა სააკაშვილის „რუსული“ დიპლომატიის სრული კრახი და „ვარდების ხელისუფლების“ მიერ ძირძველი ქართული ტერიტორიების: აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სეპარაციის ფაქტობრივი დაკანონება (დიპლომატიური ძალისხმევით თავიდან ვერაცილებული და სამარცხვინოდ წაგებული „ხუთდღიანი“ ომის შედეგად);

„ქართული ოცნების“ მმართველობის წლებში მიღწეული რუსულ-ქართული ურთიერთობების „დათბობა“ მისასალმებელია, მაგრამ ერთობ მყიფე;

„ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“: ზურაბ აბაშიძის მაღალპროფესიული, ეფექტური, მაგრამ ეული ძალისხმევა საკმარისი არ არის საქართველოს საგარეო პოლიტიკის რუსეთის მიმართულების გასაძლიერებლად (ანალიტიკური საქმიანობის გაღრმავების, მოლაპაკებების პროცესისათვის ჯეროვანი მზადების, მისი ინიცირებისა და წარმატებულად წარმოების მიზნით);

აუცილებელია ქართული დიპლომატიის ზემოთ აღნიშნული მიმართულების ძირეული გარდაქმნა, პირველ რიგში — საკადრო რესურსებით მისი საფუძლიანი გაძლიერების მეშვეობით;

„პური მეპურემ უნდა აცხოს“! „ დედის წინ მორბენალი კვიცებისა“ და „ეიჯისტური გენოციდის“ (ამ ტერმინს აწ განსვენებულ კახა კაციტაძეს დავესესხები) სამარცხვინო პერიოდი წარსულს უნდა ჩაბარდეს! ქართული დიპლომატიის ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულების მხოლოდ „პოტომაკდალეული“ ახალგაზრდობის ამარა დატოვება და დიპლომატების უფროსი თაობის „ჩარეცხვის“ დანაშაულებრივი „ვარდისფერი“ პოლიტიკის გაგრძელება დაუშვებელია.

ზურაბ მარშანია

პრორუსულმა ძალებმა იგრძნეს, რომ მათი დრო მოდის...

როგორც უკვე ვიუწყებოდით, „რუსეთი ჩვენი ერთგული მეგობარი, კეთილი მეზობელი და სულიერი ძმაა“, — ამ შინაარსის ტრანსპარანტები გამოჩნდა პრეზიდენტის რეზიდენციასთან, სადაც სამხედრო ნეიტრალიტეტის მომხრეები და მოწინააღმდეგეები შეიკრიბნენ.

სამხედრო ნეიტრალიტეტის მოთხოვნის აქცია გააპროტესტეს „თავისუფალი ზონის“ წევრებმა და ეს აქციები რუსეთიდან მართულად მიიჩნიეს.

ედუარდ შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული, დასავლეთი საქართველოში მთავარ საყრდენად საკუთარ ინსტიტუციებს განიხილავდა და ამისთვის სოლიდურ თანხებს ხარჯავდა. დღეს კი, დასავლეთისგან განსხვავებით, რუსული ძალები უფრო ქმედუნარიანად გამოიყურებიან. როგორც ჩანს, დასავლეთს საკუთარი თავი გასჭირვებია და საქართველოსთვის არ სცალია.

რატომ გააქტიურდნენ სამხედრო ნეიტრალიტეტის მომხრეები მაშინ, როცა ცოტა ხნის წინ ისინი ვერ ბედავდნენ ქუჩის აქციების მოწყობას? რას აკეთებს ამის საპირწონედ დასავლეთი? რატომ არ უპირისპირებს რუსულ პროპაგანდას საკუთარს?

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** აცხადებს, რომ მოულოდნელად, როგორც ილუზიონისტის ბაჭია, ისე გამოხტა საქართველოს ნეიტრალიტეტის მიძინებული იდეა. ისევ გამოჩნდნენ ჭყოიძე, მარგიანი და, ალბათ, ამ ხალხმა, არცთუ უსაფუძვლოდ, იგრძნო, რომ საამისო პოლიტიკური ამინდი მოდის. ეს არის რეაგირება, რეაქცია დასავლეთის მხრიდან ყურადღების მოდუნებაზე.



„უჩვეულოდ არ გეჩვენებათ ამ დღეებში ჩვენი თავდაცვის მინისტრის განცხადებების ტონი? ამ აქციებს სწორედ ამ ტონს ვუკავშირებ. „ბი-ბი-სი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში თინა ხიდაშელი ლაპარაკობს გულგატეხილობაზე, იმედგაცრუებაზე, დასავლეთის მიმართ საყვედურს არ იშურებს. ეს რაღაც სიახლეა. ნატო ტყუილებით გვკვებავს, მინიმუმ, 15 წელია, მაგრამ ძალიან დიდ იმედგაცრუებაზე როცა საუბრობს თავდაცვის მინისტრი, „დიდი იმედგაცრუება“ ჩვეულებრივ ენაზე, უბრალოდ, მოტყუებას ნიშნავს. უკანასკნელად, ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით ჯაბა იოსელიანმა დამირეკა და მითხრა, ვიკრიბებით სასტუმრო „საქართველოშიო“, მერე ჩაკვდა ეს იდეა.

ნეიტრალიტეტი უფრო ქარის წისქვილებთან ბრძოლას ჰგავს. არ დავწვრილმანდეთ, ნეიტრალიტეტი კარგია თუ ცუდი, მაგრამ საქართველოსთვის ეს ობიექტურად შეუძლებელია. ქვეყანამ ნეიტრალიტეტი რომ გამოაცხადოს, პირველ რიგში, ეს უნდა აღიაროს შენმა მეზობელმა. ახლა პოსტსაბჭოურ სივრცეში რომელი ქვეყანაა აღიარებული ნეიტრალურად? ერთადერთი, თურქმენეთია, რომელიც ათი წლის წინ ჯერ კიდევ თურქმენბაშის დროს გაერომ ნეიტრალურ სახელმწიფოდ აღიარა.

მეორე მხრივ, 21-ე საუკუნეში ნეიტრალიტეტის ერა კვდება. ხომ ხედავთ, ნატოში შესვლაზე ალაპარაკდნენ ფინეთი, შვეიცარია. ეს უკანასკნელი საერთაშორისო გოლფკლუბში და წითელ ჯვარშიც არ წევრიანდებოდა, ახლა კი შვეიცარია თავის კლასიკურ ნეიტრალიტეტს აფერმკრთალებს. საქართველო, როგორც ასეთი, სტრატეგიული მდებარეობის მქონე ქვეყანა, რომელიც ფეთქებადი რეგიონის ცენტრშია, როგორ გახდება ნეიტრალური?!“, — აცხადებს სოსო ცინცაძე.

განაპირობებს თუ არა სამხედრო ნეიტრალიტეტის იდეის წინ წამოწევას რუსული ფინანსები? ამის შესახებ სოსო ცინცაძე ეჭვს გამოთქვამს. იგი ფიქრობს, რომ 50 და 100 კაცის აქციაზე გამოსვლას დიდი თანხები არ სჭირდება. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირის გაუქმების შემდეგ მოდაში იყო ტერმინი „პარტიის ფული“, თითქოს კომუნისტებმა სადღაც ფული გადამალეს, სინამდვილეში, ვერავინ ნახა ეს ფული. მართალია, სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ ქართულ მედიაში ხშირად ვაწყდებით პრორუსულ განწყობებს, მაგრამ ეს არეული კოქტეილია და ვერ გავარკვევთ, ზუსტად სად გადის ზღვარი იმ ძალებს შორის, რომლებიც ითხოვენ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას და იმ ძალებს შორის, რომლებიც მართლაც ემხრობიან ნეიტრალიტეტს.

„რატომ არ აქტიურობს დასავლეთი საქართველოში რუსული პროპაგანდის საპირწონედ? ელემენტარულად, საამისო ამინდი არ არის, თვითონ დასავლეთსაც უჭირს. განა დასავლეთი ყოვლის შემძლეა? ტეტჩერის შემდეგ ძლიერი პოლიტიკოსი დასავლეთს არ ჰყავს, რეიგანი და ტეტჩერი იყვნენ უკანასკნელი მოჰიკანები. ახლა ოლანდის დრო მოდის თუ ცირკის კლოუნის ბერლუსკონის, რომელიც ბერიკაცების თავშესაფარში ღამის ვაზებს ასუფთავებს მისჯილი სასამართლოსთვის? მერე გამოდის და კიდევ პოლიტიკაზე იწყებს სისულელეების საუბარს? ევროპა, რომლის ლიდერიც დღეს მერკელია, აღარ არის ის ევროპა, რომელიც მზად იქნება რკინის მუშტით ტეტჩერის გადაწყვეტილება მიიღოს. აღარაფერს ვამბობ ისეთ გრანდებზე, როგორებიც იყვნენ დე გოლი, ჩერჩილი, ადენაუერი, რუზველტი. ისინი ისტორიის საკუთრებაში ჩარჩნენ.

სამხედრო ნეიტრალიტეტი ტყუპისცალია პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, მაგრამ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი როგორ უნდა გათიშონ ეკონომიკური ნეიტრალიტეტისგან? ასეთი საკითხები არ შეიძლება ქუჩაში წყდებოდეს, არ არსებობს ჩვენთან პოლიტიკური ელიტა, ამას უნდა დისკუსიები, პრესკონფერენციები“, — მიიჩნევს პოლიტოლოგი.

ექსპერტი **გია ხუხაშვილი** აცხადებს, რომ სამხედრო ნეიტრალიტეტის მომხრეები დღეს გრძნობენ, რომ შეუძლიათ გამოთქვან საკუთარი აზრი, დღეს ბევრად მეტი თავისუფლებაა და მოქმედებენ კიდეც კანონის ფარგლებში. რა შეიძლება ამას დაუპირისპიროთ და დასავლეთის აქტიურობა რა ფორმით უნდა განხორციელდეს, ამის შესახებ გია ხუხაშვილს საუბარი უჭირს. ის თვლის, რომ ჩვენ შეგვიძლია, დავგმოთ, გამოვთქვათ ჩვენი აზრი, მათ პროპაგანდას კონტრპროპაგანდა დაუპირისპიროთ, მაგრამ რაც ხდება, ეს ჩვეულებრივი პროცესია და ამის ეგზალტაცია სწორი არ არის.

„უბრალოდ, სხვა კითხვა მიჩნდება, პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობასთან რატომ შეიკრიბნენ? ეჭვი მაქვს, რომ ეს

ადამიანები პარალელურად აპროტესტებენ იმასაც, რომ პრეზიდენტი არაფერს წარმოადგენს. მაშინ ვეკითხები მათ, თუ პრეზიდენტი არაფერს წარმოადგენს, რატომ მიდიან პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან და არა იმასთან, ვისზეც თვლიან, რომ ის უნდა წყვეტდეს ქვეყანაში ყველაფერს - ანუ მთავრობის კანცელარიასთან? ან პარლამენტთან რატომ არ მიდიან? რაღაცნაირად გაორებული ამოცანა აქვთ. გარკვეული წინააღმდეგობრიობა და თეთრი ძაფით კერვა მათ საქციელში ჩანს, მაგრამ მათი უფლებაა, მთავარია, კანონის ფარგლებში იქცეოდნენ“, — აცხადებს გია ხუხაშვილი და ევროპის პასიურობას თავისებურ ახსნას უძებნის.

მისი თქმით, ევროპაში არის ტალღა, რომელიც მიიჩნევს, რომ რუსულ პროპაგანდას უნდა დაუპირისპირონ კონტრპროპაგანდა. ამ სქემის ამუშავებას ევროპა ინსტიტუციურად თითქოს აპირებდა არა მხოლოდ საქართველოსთან მიმართებით, არამედ მთლიანობაშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ევროპას დღეს დიდი პრობლემები აქვს სულ სხვა მიმართულებით და მაინცდამაინც არ სცალია ამ საკითხებისთვის.

გარდა ამისა, გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ რუსული პროპაგანდა ბიზნესჭრილშიც უნდა განვიხილოთ. მართალია, ექსპერტი კონკრეტულ არასამთავრობოებს არ ეხება, მაგრამ აცხადებს, რომ ადამიანები მაინცდამაინც ფუნდამენტური მსოფლმხედველობრივი რწმენით კი არ გამოდიან რაიმე იდეის დასაცავად, არამედ — კონკრეტული დაფინანსების მოპოვების კუთხით და ამ დაპირისპირებისას ერთი მათგანი ერთი მხრიდან შოულობს ფულს, მეორე — მეორე მხრიდან.

„არჩილ ჭყოიძე და ავთანდილ მარგიანი არიან თუ არა იდეურად რუსეთის მომხრეები, არ ვიცი. არ ვიცნობ ამ ხალხს და არც მაინტერესებს. არ მიმაჩნია, რომ ისინი ამ ქვეყანაში სერიოზული პროცესის ინიცირებას შეძლებენ. ეს მათი უფლებაა. ქართულ პოლიტიკაში გაჩნდა კიდევ ერთი პატარა „ბუტკა“ და იფაფხურებენ. მეგონა, კიოსკებისა და „ბუტკების“ დრო დამთავრდა, მაგრამ ეტყობა, არ დამთავრებულა. ნებისმიერი პოლიტიკური ინტერესისთვის საქართველოში ფული ყოველთვის შემოვა. ჯობია, არავინ გვაფინანსებდეს გარედან და შიგნითვე ვწყვეტდეთ ჩვენი ქვეყნის ბედს საკუთარი ფინანსებით, რესურსებით, მორალური თუ ზნეობრივი პრინციპებით, მაგრამ ასე არ ხდება. საქართველოს ბედი, როგორც ყოველთვის, ამ ქვეყანაში არ წყდება. თუმცა მე ვთვლი, რომ დღეს არ დამდგარა იმის დრო, რეალური არჩევანი გავაკეთოთ. მაინცდამაინც რწმენის საკითხი გახადეს ევროპული უსაფრთხოების სისტემა. კი ბატონო, თუ ვინმეს აქვს ასეთი მოსაზრება, ეს უნდა გახდეს აკადემიური განხილვის საგანი და ვილაპარაკოთ პლუსებსა და მინუსებზე. ამ დროს ჩვენ გველაპარაკებიან რაღაც უსაფრთხოების სისტემაზე და ნატოს აპოლოგეტები რაციონალური არგუმენტებით ნაკლებად საუბრობენ. ნატო უფრო რწმენის თემად იქცა და ეზარებათ კიდეც კონკრეტული არგუმენტების მოყვანა.

მეორე მხრივ, ვისაც სჯერა, რომ ნატოში გაწევრიანება ჩვენი უსაფრთხოების დონეს აამაღლებს, ისინიც უკვე სკეპტიკურად არიან განწყობილნი. ხომ არ შეიძლება, კარი მუდმივად ღია იყოს და კარებთან იდგე და ვერ შედიოდე? ეს ადამიანებს აღიზიანებთ. შესაბამისად, სკეპტიკოსების რიცხვი იზრდება. იგივე თავდაცვის მინისტრი ცოტა ხნის წინ ლაპარაკობდა, მაპი თუ არ იქნება, დრამატულ სურათს მივიღებთო. ახლა, ეტყობა, შიგნით დაილაპარაკა და დაინახა, რომ სამიტზე მაპი არ იქნება, ამიტომ დღეს ლაპარაკობს, რომ მაპი თურმე საერთოდ არაფერს ნიშნავს. წინა ხელისუფლებამ ზუსტად იგივე გზა გაიარა, რასაც დღეს თინა ხიდაშელი თავის რიტორიკაში გადის. რომ ამოვწიოთ მასალები, ჩანს მაპის მოლოდინი, მერე ლაპარაკი იმაზე, მაპი კი არა, მაპზე უკეთესი გვაქვსო. ხიდაშელმაც ფაქტობრივად გუშინ გამოაცხადა, მაპზე უკეთესი გვაქვს, რად გვინდა მაპიო?! თუ ჰგონიათ, რომ საზოგადოება ამ ურთიერთგამომრიცხავი რიტორიკით ბოლდება, შემცდარან. საერთოდ, პოლიტიკოსებს ჩვენზე დაბალი წარმოდგენა აქვთ და თავიანთი თავი რატომღაც ჩვენზე ჭკვიანები ჰგონიათ. ასე არ არის. დავსხდეთ და ვისაუბროთ და გამოჩნდება თეთრი და შავი“, — აცხადებს გია ხუხაშვილი.

ჩაიწერა
მანანა ნოზაძემ

⊙ გასწორება

ბოდიში შეცდომისთვის!

გაზეთის გუშინდელ, 29 სექტემბრის ნომრის მე-9გვერდში დაბეჭდილ გაფართოებულ ინფორმაციაში „შემეცნების“ ჭეშმარიტი ეროვნული შემეცნება!“ რომელიც ქართველი მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ორტომეულის გამოსვლას ეხმიანებოდა, რედაქციისთვის ჩემს მიერ მიწოდებულ კომპიუტერულ ანაწყობში, რომელშიც, როგორც მოსალოდნელი იყო, რედაქცია არ ჩარეულა, მწერალთა ჩამონათვალში მექანიკურად გამომრჩა გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეები, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და პირადად ჩემთვის უსაყვარლესი მწერალი გურამ დოჩანაშვილი, რის გამოც უღრმეს ბოდიშს ვიხდი როგორც თითოეული მათგანის, ისე რედაქციისა და მკითხველთა წინაშე.

ალექსანდრე შენგელია

⊙ ინფორმაცია

საზოგაუწყებლის მონიტორინგის საბჭოს სამი წევრიღა შემორჩა

საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგის საბჭოს 7-დან 4 წევრს უფლებამოსილების კანონით განსაზღვრული ვადა ამოეწურა. ამის შესახებ ინფორმაციას „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ავრცელებს.

„სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 5 ივლისის №210 გადაწყვეტილების საფუძველზე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იმ პერიოდში მოქმედი სამეურვეო საბჭოს წევრების, კერძოდ, ბატონი ზურაბ დავითაშვილის, ქალბატონი ნინო დანელიას და ბატონი გიორგი მელაძის უფლებამოსილების ვადები განისაზღვრა 2015 წლის 1 სექტემბრამდე. ამავე ვადით განისაზღვრა ასევე ქალბატონი ნატალია დვალის უფლებამოსილების ვადაც, რომელიც ჩაენაცვლა ბატონ გიგა ნასარიძეს“, — ნათქვამია მაუწყებლის განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, ამჟამად, მონიტორინგის საბჭოს 3 წევრი ჰყავს: მამუკა ფაჩუაშვილი, დავით კანდელაკი და ემზარ გოგუაძე. მათ უფლებამოსილება 2017 წლის 1 სექტემბერს ეწურებათ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ნიუ იორკი დიდია – პრეზიდენტი და პრემიერი ერთმანეთის გზებს არ გადაკვეთენ

ბრძოლდება საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილისა და პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტები ამერიკის შეერთებულ შტატებში. ორივე იმყოფება ნიუ იორკში ცალკეული დელეგაციების თანხლებით. ირაკლი ღარიბაშვილი მონაწილეობს გაეროს 70-ე გენერალური ასამბლეის მუშაობაში, გიორგი მარგველაშვილს განზრახული აქვს მონაწილეობა მიიღოს დისკუსიებში, რომლებიც ეძღვნება ქალის როლს აღმოსავლეთ ევროპაში.

ეტყობა, საქართველოს პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა გადაწყვიტეს „ჩრდილი არ მიაყენონ“ ერთმანეთს ნიუ იორკში. მთავრობის მეთაური ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში 25 სექტემბერს გაემგზავრა, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ორი დღით გვიან – 27 სექტემბერს. პირველი აწყობს ორმხრივ შეხვედრებს, გამოდის ღონისძიებებში გაეროს 70-ე გენერალური ასამბლეის ფარგლებში. მარგველაშვილიც აპირებს მონაწილეობა მიიღოს დისკუსიებში, რომლებიც გათვალისწინებულია გენერალური ასამბლეის ფარგლებში. საქართველოს პრეზიდენტი პირადად მიიწვია ლიტველმა კოლეგამ დალია გრიბაუსკაიტემ მის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე „აღმოსავლეთ ევროპის მომავალი ქალთა როლის გაძლიერებაა“.

სახელმწიფოს პირველ პირებს ჩამოუყალიბდათ „კეთილი“ ტრადიცია: **უკვე მეორედ გაემგზავრნენ ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაეროს გენერალური ასამბლეის დღეებში, სათავეში ედგნენ 2 დამოუკიდებელ დელეგაციას, გამგზავრების წინ კი ასწრებენ გვარიანად მოთენთონ საზოგადოება დავებით იმის შესახებ, თუ ვინ უნდა წავიდეს და გამოვიდეს გაეროს შტაბ-ბინაში.**

ამჯერადაც საქართველოს პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა არ ისურვეს ერთად გამოჩენილიყვნენ ისეთ „გულუბრყვილო“ ღონისძიებებზე როგორიცაა გამოფენა-გაყიდვა სახელწოდებით Discover ნიუ იორკის Chelsca Market-ში და შეხვედრა ქართულ დიასპორასთან.

სხვათა შორის, პრეზიდენტის შეხვედრაზე ქართველებთან, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობენ, მათ უფრო მეტად აინტერესებდა არა საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არ ჩამოყალიბდა ურთიერთობა სახელმწიფოს პირველ პირებს შორის, არამედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პრობლემა. პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ასე უპასუხა:

„რუსეთთან საუბარი – ეს არჩევის საკითხი როდია: მოგწონს თუ არა, ეს აბსოლუტურად აუცილებელია. მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ მომწიფდეს დრო, და რუსეთის თავად პოლიტიკური ხელმძღვანელობა ორიენტირებული უნდა იყოს რაიმე ისეთზე, რამაც შეიძლება გაგვაერთიანოს. არცერთი ომი რუსეთს არაფერს მოუტანს. საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციამ ჯერჯერობით „რუსეთს არ მოუხსნა არცერთი პრობლემა“.

ოკუპაციის შესახებ საუბრობდა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც, როდესაც გამოდიოდა გაეროს სამიტზე მყარი განვითარების შესახებ:

„საქართველოში ჩვენ ვამყარებთ კონსოლიდურ კანონმდებლობას, რომელიც ემყარება გამჭვირვალობის პრინციპს და ნერგავს თავისუფალი ინფორმაციის ახალ სტანდარტებს. ბუნებრივია, ეს მიზნები უნდა ეხებოდეს რეგიონების მოსახლეობასაც, რომლებიც დაზარალდა კონფლიქტის დროს. ჩვენ გვესმის, რამდენად მნიშვნელოვანია მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება საქართველოს ორი რეგიონის უცხო ძალით ოკუპაციის პირობებში, როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავიანთი სახლ-კარი“.

რაც შეეხება სახელმწიფოს მეთაურს, პოლიტოლოგი გიორგი გობრონიძე სულაც არაა დარწმუნებული, რომ ირაკლი ღარიბაშვილი გამოიყენებს გაეროს ტრიბუნას უფრო მკაცრი განცხადებებისთვის რუსეთის მისამართით. სხვათა შორის, ექსპერტი არ არის აგრესიული რიტორიკის მომხრე, ის უფრო მეტად საუბრობს აქტიურ დიპლომატიურ ძალისხმევაზე, რომელსაც, სხვათა შორის, „ქართული ოცნების“ მთავრობაში გობრონიძე ვერ ამჩნევს. ხოლო პარალელური ვიზიტები ნიუ-იორკში ერთი სახელმწიფოს ორი დელეგაციისა მას უკარნახებს ასეთ ვარაუდს:

„შეიძლებოდა გაეკეთებინათ ისე, რომ პრემიერი და პრეზიდენტი წასულიყვნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი დელეგაციის შემადგენლობაში, პრაგმატულად გაენაწილებინათ ფუნქციები და შეთანხმებულიყვნენ დღის წესრიგზე. ერთი ქვეყნიდან ორი დელეგაციის გამგზავრება ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ღონისძიებაზე სულაც არ უწყობს ხელს სახელმწიფოს სერიოზულ იმიჯს“.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გათვალისწინებულია 1 ოქტომბრისთვის. მას არ დაესწრება პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. ნიუ იორკიდან პრეზიდენტი თავისი დელეგაციით 29 სექტემბერს ვაშინგტონს მიემგზავრება.

Эхо Кавказа

საქართველო შენგენის ზონის ზღვარზე რჩება

ევროკავშირის შეფასებითი მისიის მოხსენების დამოუკიდებლად, თბილისს შეიძლება უარი უთხრან უვიზო რეჟიმზე

თბილისში **იმყოფებიან ევროკავშირის ექსპერტები, რომლებმაც ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეამოწმონ საქართველოს მიერ თავისი ვალდებულებების შესრულება პროგრამით „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია“.** საქართველოს ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ უკვე შეასრულა ევროკავშირის ყველა პირობა, მაგრამ ევროპაში ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთი აფრიკიდან ლტოლვილების უკანასკნელმა შემოტევამ შეიძლება აიძულოს ბრიუსელი გარკვეული დროით გადადოს უვიზო რეჟიმის მინიჭება კავკასიის ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის.

ევროკავშირის ექსპერტები საქართველოში 28 სექტემბერს ჩამოვიდნენ და აქ ერთ კვირას დაჰყოფენ. ევროკომისიის მანდატის თანახმად, მათ მოუწევთ შეამოწმონ, რამდენად წარმატებით შეასრულა საქართველოს ხელმძღვანელობამ „სავიზო რეჟიმის“ ლიბერალიზაციის პირობები – ქვეყნის მოქალაქეებისთვის უვიზოდ შესვლის უფლება შენგენის ზონის სახელმწიფოებში.

ევროკომისიის მოხსენების თანახმად, 2015 წლის 8 მაისიდან საქართველომ მოქმედებათა გეგმის მეორე ფაზის 15 ძირითადი მოთხოვნიდან შეასრულა მხოლოდ 7, რომლებიც შეეხება ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას. ევროპული კომისიის ანგარიშით მეოთხე დასკვნა 15 დეკემბერს გამოქვეყნდება. ამით დასრულდება ტექნიკური პროცედურები, მაგრამ დარჩება ყველაზე მნიშვნელოვანი: ევროკავშირის ხელმძღვანელობის პოლიტიკური გადაწყვეტილება. სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი არაერთგზის საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ იმედი აქვთ ევროკავშირთან ვიზების გაუქმებისა უკვე 2016 წლიდან.

ექსპერტების თბილისში ჩასვლის უმალვე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგი გიგიაძემ განაცხადა, **„ქვეყანამ უკვე შეასრულა ყველა ის პირობა, რაც აუცილებელია ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისთვის“. მან გვაცნობა, რომ შეფასების კომისია მოამზადებს დასკვნას ევროკომისიისთვის, რომელიც აპირებს გამოაქვეყნოს თავისი მოხსენება 15 დეკემბრისთვის. ამ დოკუმენტის საფუძველზე ევროკავშირის საბჭო მიიღებს კიდეც საბოლოო გადაწყვეტილებას.**

ამასთან ერთად იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა რეკომენდაციები იქნება მოხსენებაში, თბილისში არ გამორიცხავენ, რომ ევროკავშირი მაინც თავს შეიკავებს საქართველოსთვის დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე. „ლტოლვილების შემოტევა ნამდვილი კატასტროფა გახდა ევროპისათვის, მაშასადამე, ჩვენთვისაც“, – განაცხადა ჩვენთან საუბარში წყარომ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროში. მან არ გამორიცხა, რომ სწორედ ამ პრობლემასთან დაკავშირებით „საკითხი საქართველოსთვის შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს“.

ჩვენი გაზეთის მონაცემებით, ევროკავშირის ზოგიერთი მოთხოვნა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროგრამასთან დაკავშირებით შეიცავს მეტად ბუნდოვან პირობებს, რომელთა შესრულების ხარისხიც შეიძლება სხვადასხვაგვარად ავხსნათ. მაგალითად, ევროპელი ჩინოვნიკები მოითხოვენ თბილისისგან (სხვათა შორის, ყველა პირობის შესრულების დროსაც კი არ იძლევიან უვიზო რეჟიმის გარანტიას) კორუფციის დონის და ორგანიზებულ დანაშაულებათა დონის შემცირებას, ტრეფიკინგთან ბრძოლის გაძლიერებას, პერსონალურ მონაცემთა დაცვას, ყოველგვარ უმცირესობათა უფლებების პატივისცემას, მათ შორის სექსუალურისაც, აგრეთვე სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

Коммерсант

დედამიწის ზურგზე

ნიუ-იორკში პუტინისა და ობამას საუბრის ძირითად თემას ლავროვმა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ეფექტიანი დაპირისპირება უწოდა

საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვებით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის ლიდერების მოლაპარაკების ცენტრში იყო საკითხის განხილვა – შეიძლება თუ არა ეფექტიანად ვებრძოლოთ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე აკრძალულ „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტულ დაჯგუფებას ისე, რომ არ დავეხმაროთ სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის მთავრობას, როგორც ამას აქამდე აკეთებდა მოსკოვი.

* * *

ნიუ იორკში პუტინმა და აბემ მოილაპარაკეს წინ წასწიონ მოლაპარაკება მშვიდობიან შეთანხმებაზე

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის იასუნისა კავამურის სიტყვებით, ვლადიმერ პუტინისა და სინძო აბეს შეხვედრა 40 წუთი გრძელდებოდა, დისკუსია იყო „გულღია, მეტად მრავალმხრივი და მნიშვნელოვანი“. ლიდერებმა განიხილეს სამი პუნქტი, ერთ-ერთი მათგანია – ტერიტორიული საკითხი. უწინარეს ყოვლისა, ისინი შეთანხმდნენ – წინ წასწიონ მოლაპარაკება სამშვიდობო შეთანხმებაზე.

* * *

გაეროს შტაბ-ბინაში დამთავრდა „ექვსეულისა“ და ირანის მინისტრების შეხვედრა

ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა უცხოეთის საკითხებსა და უშიშროების პოლიტიკაში ფედერიკა ნოგერინიმ შეხვედრის შედეგების მიხედვით გამოთქვა რწმენა, რომ დადებული შეთანხმებანი შესრულდება „ექვსეულისა“ და ირანის მიერ სრულად და ვადებში. ვალდებულებანი უნდა შესრულდეს 18 ოქტომბრამდე, შეგვახსენა მან.

* * *

თალიბებმა მთლიანად ჩაიგდეს ხელში ავღანეთის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ძალაქი კუნდუზი

ეს თალიბებისთვის პირველი ასეთი მასშტაბის წარმატებაა უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში. კუნდუზის აღება შეიძლება გადამწყვეტი მომენტი აღმოჩნდეს მათ ბრძოლაში მთავრობის ჯარებთან. ავღანეთის უშიშროების ძალები დაელოდნენ ახალი ძალების შემოსვლას და გადავიდნენ კონტრშეტევაზე.

◎ სიახლე

ავტომობილების ტექნიკური შემოწმება სავალდებულო გახდა

საქართველოს მთავრობის №437 დადგენილებაში, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე აირბალონიანი მოწყობილობის განთავსებას, ტექნიკურ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის შეფასებას და უსაფრთხო ექსპლუატაციას ეხება, ცვლილებები შევიდა. ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებებში დამონტაჟებული აირბალონების და აირბალონიანი მოწყობილობის სისტემის იდენტიფიკაცია და სავალდებულო ტექნიკური შემოწმება სავალდებულო გახდა.

აღნიშნული თემის ირგვლივ დაგროვილ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად bpn.ge „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელ დირექტორს **ვასო ურუშაძეს** ესაუბრა.

ვასო ურუშაძის ინფორმაციით, ცვლილება კონკრეტულად, მე-14 მუხლს შეეხო, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული აირბალონების და აირბალონიანი მოწყობილობის სისტემების იდენტიფიკაციას და შემოწმების პერიოდულობას გულისხმობს.

„ცვლილების თანახმად, აირბალონების და აირბალონიანი მოწყობილობის სისტემების ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის სავალდებულო პერიოდული შეფასების ჩასატარებლად, ამ ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, ინსპექტირების ორგანოს უფლებამოსილმა პირმა უნდა შეამოწმოს წარდგენილ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული აირბალონ(ებ)ის ან/და აირბალონიანი მოწყობილობის სისტემების შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი. მისი არქონის შემთხვევაში კი ჩაატაროს აირბალონის ან/და აირბალონიანი მოწყობილობის სისტემების შემოწმება“, — აღნიშნავს ვასო ურუშაძე.

მისივე განცხადებით, ტექნიკური შემოწმება ნახშირბადიანი ფოლადისგან ან ლითონპლასტიკისგან დამზადებული აირბალონების შემთხვევაში, 3 წელიწადში ერთხელ უნდა განხორციელდეს. ლეგირებული ფოლადისგან დამზადებული აირბალონების პერიოდული შემოწმება - 5 წელიწადში ერთხელ. იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლის დოკუმენტაციით არ ირკვევა აირბალონის მასალის შემადგენლობა, მისი შემოწმება სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ. ვასო ურუშაძის ინფორმაციით, სიახლეა ის ფაქტიც, რომ სავალდებულო ხდება აირბალონიანი მოწყობილობის სისტემების შემოწმებაც, რაც ასევე ყოველ 3 წელიწადში ერთხელ უნდა განხორციელდეს.

ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტომობილებმა ტექნიკური შემოწმება 2016 წლის 1 აპრილამდე უნდა გაიარონ

ავტომობილებმა, რომლებიც ალტერნატიულ საწვავზე — ბუნებრივ აირზე მუშაობენ, ტექნიკური შემოწმება 2016 წლის 1 აპრილამდე უნდა გაიარონ. ვასო ურუშაძე აღნიშნავს, რომ 2016 წლის პირველ აპრილამდე არც თუ ისე დიდი დროა დარჩენილი. ასევე დასძენს, რომ დღეს დაზუსტებული ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ საქართველოს ავტოპარკის რამდენი ავტოსატრანსპორტო საშუალება მოიხმარს ბუნებრივ აირს, არ არსებობს.

მისივე თქმით, ასევე არ არსებობს სპეციალური ლაბორატორიებით აღჭურვილი აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული ინსპექტირების ცენტრები, სადაც უნდა მოხდეს ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტომობილების ტექნიკური შემოწმება.

„ჩვენთვის მიუღებელია ის ფაქტიც, რომ ამ რეგულაციას წინ არ უძღვოდა დამოუკიდებელ ექსპერტებთან და არასამთავრობო სექტორთან კომუნიკაცია, საჯარო განხილვები და დისკუსია. გაუგებარია და ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს საქართველოს მთავრობის მიდგომა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რატომ იმეორებს მთავრობა იმ მანკიერ პრაქტიკას, როგორც ეს ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერების რეფორმის გატარების მცდელობის დროს იყო და კრახით დასრულდა. გაუგებარია, რატომ არ ხდება ამ საკითხის გასაჯაროება და მედია საშუალებების მეშვეობით საზოგადოების ინფორმირებულობა“, — დასძენს ვასო ურუშაძე.

თამარ ლალიაშვილი

◎ ექსპორტი

თაფლი, თხილი, კაკალი და...

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) გაფორმების ერთი წლის შემდეგ საქართველო კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. მათ შორის ყველაზე აქტუალური საკვების უსაფრთხოების და, ზოგადად, ქართული ნაწარმის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხია, რადგან ჯერ კიდევ მრავალი რეფორმის გატარებაა საჭირო იმისთვის, რომ საქართველოში წარმოებულმა პროდუქტმა შეძლოს ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების დაკმაყოფილება. ერთ-ერთი ამ პროდუქტთაგანია ქართული თაფლი.

ქართული პროდუქტის პერსპექტივა ევროკავშირის ბაზარზე

თუ ზოგად სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ 2015 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 1 მილიარდ 982 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს მხოლოდ 2 პროცენტით აღემატება.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის ქვეყნების წილმა 31 პროცენტი შეადგინა, მათ შორის, ექსპორტში 28 პროცენტი, ხოლო იმპორტში 32 პროცენტი.

ფაქტია, ევროპის ბაზარს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში მაღალი პროცენტული წილი უჭირავს,თუმცა, 2014 წლის იანვარ-აგვისტოში აღრიცხულ იდენტურ მაჩვენებლებთან შედარებით, რომლებიც, შესაბამისად, 26 %-ს,21 %-ს და 28 %-ს შეადგენდა, სხვაობა საგულისხმოდ დიდი არ უნდა იყოს. სტატისტიკა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი, სანამ ასოცირების ხელშეკრულების სარგებელს ბოლომდე მიიღებს და აითვისებს.

როგორც ზემოთაც ვთქვით, ერთ-ერთი პროდუქტი, რომელიც შესაძლოა, ევროპულ ბაზარზე პერსპექტიული იყოს, ქართული თაფლია. დღემდე საქართველოში არ არსებობდა ლაბორატორია, რომელშიც მეწარმე თავის პროდუქტს შეამოწმებინებდა და შესაბამის დასკვნას აიღებდა. ამჟამად სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში (LMA) ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისი თაფლის კვლევების სრული სპექტრი ინერგება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, თანამედროვე კვლევის მეთოდებით თაფლის პროდუქტის შემოწმებისას მოხდება ისეთი რთულად გამოსაკვლევი მახასიათებლების განსაზღვრა, როგორიცაა ანტიბიოტიკებისა და პესტიციდების შემცველობა. აღნიშნულ მახასიათებლებზე კვლევას ევროკავშირი სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის საფუძველზე ითხოვს. იმისათვის, რომ დაინტერესებულმა პირმა საკუთარი პროდუქციის რეალიზება ევროკავშირის ბაზარზე მოახდინოს, ექსპორტირებული საქონელი ამ ქიმიურ ნაერთებს არ უნდა შეიცავდეს. აღსანიშნავია, რომ LMA-ში ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების შედეგები აღიარებულია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, რასაც განაპირობებს 2014 წლის მარტში ლაბორატორიის მიერ მიღებული ISO 17 025 საერთაშორისო აკრედიტაცია.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის ამოქმედება ხდება საბაზო წერტილიდან, ლაბორატორია თაფლის ერთი ნიმუშის ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად კვლევას რეგლამენტით გათვალისწინებულ სრულ სპექტრზე მეფუტკრეობის კოოპერატივებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შესთავაზებს სრულიად უსასყიდლოდ. დღეისათვის, ლაბორატორიის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სურსათის კვლევის დეპარტამენტში თაფლის ხარისხობრივ კვლევაზე სულ შემოსულია 102 ნიმუში. აქედან 47 ნიმუშს ჩაუტარდა სრული კვლევა, 53 ნიმუში გამოკვლეულ იქნა ნატურალობაზე, საიდანაც მხოლოდ ერთი ნიმუში აღმოჩნდა არანატურალური.

შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ლაბორატორიის არსებობისა და ზემოთ ნახსენები შეთავაზების შესახებ ყველა იმ ბიზნესმენმა შეიტყოს, რომელიც თაფლის წარმოებით არის დაკავებული.

თაფლის გარდა, ცხადია, ევროკავშირის ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პერსპექტივა თხილსა და კაკალს აძვს, რომლის ექსპორტიც ბოლო წლებში მუდმივად იზრდება.

ცხადია, მნიშვნელოვანია ამ პროდუქტს ყოველწლიურად ახალი ჩამონათვალი შეემატოს, წინაადმდეგ შემთხვევაში, ასოცირების ხელშეკრულების ეკონომიკური სარგებელი ბოლომდე აუთვისებელი დაგვრჩება.

ნინო ევგენიძე,
რადიო „თავისუფლება“

◎ დედაქალაქი

სანამ ხევში გადავჩეხილვართ

ყველას კარგად მოეხსენება, რომ გლდანი-ნაძალადევის რაიონში ჩარგლის ქუჩა ერთ-ერთი მთავარი დამაკავშირებელი მაგისტრალია ნაძალადევის, სანზონის, თემქის, თბილისის ზღვის დასახლებებისა. იგი საკმაოდ დატვირთული ქუჩაა, მაგრამ გურამიშვილის გამზირის პარალელურად თავს ასე თუ ისე ადვილად ართმევს დედაქალაქში შექმნილ საცობებს. კარგა ხანია, სანზონის დასახლებიდან თემქისკენ მიმავალ მონაკვეთზე ჩარგლის ქუჩის ნაწილი, რომელიც ხევს მიუყვება, ჩაინგრა. დაზიანდა როგორც ტროტუარი და გზის მცირე მონაკვეთი, ასევე მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქის ღობე და ეზო.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

გზისპირა ხევის სიმაღლე ათ მეტრს აღემატება, დაზიანებული მონაკვეთი მეტად საშიშია როგორც ტრანსპორტისთვის, ასევე ფეხით მოსიარულეებისთვისაც, განსაკუთრებით ღამის საათებში. სანამ უბედურება დატრიალებულა, იქნებ ნაძალადევის გამგეობის წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციონ და სასწრაფო ზომები მიიღონ, მითუმეტეს რომ დღეში რამდენჯერმე უწევთ ამ მონაკვეთზე გადაადგილება, ასიოდ მეტრში ხომ გამგეობის შენობაა.

ავთანდილ ბექაური

◎ SIC!

ბავშვებს თამამად შეუძლიათ სკოლის ბუფეტში შევიდნენ

სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ 220 საჯარო სკოლის ბუფეტი შემოწმდა. შემოწმების შედეგად კრიტიკული შეუსაბამობა არც ერთ სკოლაში არ გამოვლენილა, აღინიშნა მხოლოდ მცირედი დარღვევები.

„შედეგი არის კარგი, თუმცა, მიმდინარე წლის ბოლომდე ეს პროცესი გაგრძელდება და ჩვენ კიდევ უფრო მეტად ეტაპობრივად გავამკაცრებთ კონტროლს“, — განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ.

მისი თქმით, შარშან შემოწმების შემდეგ 4 სკოლის ბუფეტში გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობა, რის გამოც მათ საწარმოო პროცესი შეუჩერდათ. მისივე თქმით, მიმდინარე წელს უკვე შემოწმდა 881 საბავშვო ბაღიც.

„სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების შემოწმების პროცესი გრძელდება და შედეგები პერიოდულად ეცნობება საზოგადოებას“, — განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

ინტერპრესი

◎ არჩევნების წინ

სამუცნობიანი განტოლება

3 ოქტომბერიც მოახლოვდა, თარიღი, რომელიც ათვლის ახალი წერტილი უნდა გახდეს ქართული ფეხბურთისთვის. მაგრამ გახდება? საკითხავი, აი ეს არის.

ალბათ, დაკონკრეტებაც ზედმეტია, რომ საუბარია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საარჩევნო (დიახ, მხოლოდ საარჩევნო) ყრილობაზე, რომელმაც ნოდარ მამა-შვილ ახალკაცების, მერაბ ჟორდანიას, გიორგი ნემსაძის (მერა რა, რომ მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში) და დომენტი სიჭინავას მემკვიდრე უნდა დაასახელოს.

უპირველესად, იმ დანაშაულებრივ კურიოზზე, რაც სფფ-ის აღმასკომის ამასწინანდელ გადაწყვეტილებას უკავშირდება, რომელმაც თავის რიგებში გაწევრიანებაზე უარი სტკიცა მთელ რიგ კლუბებს, ანუ პოტენციურ სუბიექტებს, მათ შორის — ევროტურნირების მონაწილე ბათუმის „დინამოს“. არადა, ფედერაციის წესდება ცალსახად განსაზღვრავს ასეთი ვერდიქტის უკანონობას. მიზეზი ნათელია — საარჩევნო ხმის მქონე 35 დელეგატისათვის ახალი, სავარაუდოდ, მეამბოხე მანდატის მქონეთა დამატება იმ ზედმეტ რისკებს შეიცავს, რომელიც, დიდი ალბათობით, უკვე ათწლეულების მანძილზე გაბატონებულ სფფ-ის მართვის მანკიერ სტილს დაუსვამს წერტილს, რეფორმა კი, მოგეხსენებათ, მტკივნეული პროცესია და შემოქმედთ ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეთ.

და ბოლოს, მოდით, პრეზიდენტობის სამივე კანდიდატს შევაწიოთ ორიოდე სიტყვა და დასკვნასაც ადვილად გამოვიტანთ — ვის თამაშს თამაშობს თითოეული მათგანი.

რევაზ არველაძე. სფფ-ის მოქმედი გენერალური მდივანი უკვე 11 წელიწადია ფედერაციის მაღალჩინოსანია (ერთ დროს ვიცე-პრეზიდენტიც გახლდათ), ასე რომ, საკუთარი წილი პასუხისმგებლობისა ჩაფლავებულ საქმეებზე მასაც ეკისრება. უხეშად თუ ვიტყვით, ყველა საცობს ერგებაო, მასზეა ნათქვამი. თუმცა, მოდით, ნურც იმ სასიკეთო პროექტებს დავუვიწყებთ, არველაძეთა ფონდის წევრის ეგიდით რომ განახორციელა.

ლევან კობიაშვილი. ეროვნული ნაკრების რეკორდსმენს (100 მატჩი) ზურგს გაუსვრელი პიროვნების რეპუტაცია და მმართველი პოლიტიკური ძალის მხარდაჭერა უმაგრებს, რაც ახლახან მისთვის „ახალი თბილისის“ მერობის მოძებნით დადასტურდა. გასათვალისწინებელია ის დაპირებაც, რომელიც მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში სოლიდური ინვესტიციების მოზიდვას ითვალისწინებს. ამ ჭრილში საყურადღებოა „კობოს“ სინანული, ათი წლის წინათ ბიძინა ივანიშვილი 100 მილიონის დაბანდებას ქართულ ფეხბურთში აპირებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც წინა ხელისუფლებისგან წინააღმდეგობას წააწყდა, აღნიშნული თანხები რაგბისკენ გადაამისამართა და ეს სახეობა ააყვავაო. მართლაც, „ბორჯღალოსნები“ ზედიზედ მეოთხედ თამაშობენ მსოფლიო თასზე, ჩვენი სარაგბო ინფრასტრუქტურა კი არაფრით ჩამოუვარდება მოწინავეებს.

მამუკა ქბარაცხელია. ჩვენი კოლეგა სფფ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელია, მისი შემუშავებულია ფედერაციის წესდების არაერთი პუნქტი, ნაციონალთა ზეობისას კი სიკვდილს ძლივს გადაურჩა, როცა ზონდერებმა ერთ-ერთი საპროტესტო მიტინგის შემდეგ ტყეში გაიტაცეს და უმოწყალდ გაუსწორდნენ. მართალია, უეფას მედია-ოფიცერი რამდენჯერმე უკვე დამარცხდა საპრეზიდენტო რბოლებში, მაგრამ ოლიმპიური პრინციპიც ხომ პრინციპია — მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვებაო.

ასე რომ, რამდენიმე დღეც და სამუცნობიანი ამოცანაც ამოიხსნება.

გია პლატონიშვილი

◎ მთამსვლელობა

მესტიამ მიხეილ ხერგიანის მემორიალს უმასპინძლა

მესტიაში ჩატარდა სახელოვანი მთამსვლელის — მიხეილ ხერგიანის ტრადიციული მემორიალური ტურნირი კლდეზე ცოცვაში, სადაც უძლიერესი მეკლდეურები ღებულობდნენ მონაწილეობას საქართველოს ყველა რეგიონიდან, ასევე აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან.

მემორიალურ ტურნირში, სადაც სულ 61 სპორტსმენი გამოდიოდა, შეჯიბრი სამ სახეობაში — რთულ ცოცვაში, სწრაფ ცოცვაში ხელოვნურ კედლებზე და მიხეილ ხერგიანის საყვარელ სახეობაში — ბუნებრივ კლდეებზე ინდივიდუალურ ცოცვაში გაიმართა.

ჩემპიონატს უმასპინძლა მესტიის მუნიციპალიტეტმა. ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და მეკლდეურობის ეროვნული ფედერაცია.

რთული ცოცვა

გოგონები

1) თვაური ნიცა (თბილისი),
2) იოსელიანი ფატი (მესტია),
3) რატიანი დარო (მესტია).

ვაჟები

1) გაბულდანი გიორგი (თბილისი),
2) ჯაფარიძე გიორგი (მესტია),
3) ჩართოლანი გოგი (მესტია).

სწრაფი ცოცვა

გოგონები

1) რატიანი დარო (მესტია),
2) გუჯეჯიანი მელანო (მესტი),
3) იოსელიანი ფატი (მესტია).

ვაჟები

1) ჯანხოთელი გიგა (თბილისი),
2) ჯაფარიძე გიორგი (მესტია),
3) ჩართოლანი გოგი (მესტია).

ბუნებრივ კლდეზე ცოცვა

ვაჟები

გაბულდანი გიორგი.

გოგონები

იოსელიანი ფატი.

ამ სახეობაში გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ ფულადი პრიზები 1000-1000 ლარი

გუნდური

1) მესტიის 1 გუნდი,
2) თბილისის გუნდი,
3) მესტიის მეორე გუნდი.

ბეჟან დოლიძე

◎ ჩოგბურთი



შარაპოვამ თამაში ტრავმის გამო შეწყვიტა

მსოფლიო ნომერ მესამე ჩოგბურთელი მარია შარაპოვა „ვუჰანის“ ტურნირის პირველ წრეში ჩეხ ბარბარა ზაპლავოვა-სტრიცოვას დაუპირისპირდა. პირველი სეტი მარიამ 7:6, ხოლო მეორე პარტია 6:7 დათმო, გადამწყვეტ სეტში 2:1 იგებდა, რა დროსაც რუსმა თამაში შეწყვიტა. შარაპოვას თამაშის შეწყვეტის მიზეზი მაჯის ტრავმა გახდა.

როგორც იცით, მსოფლიოს მესამე ჩოგბურთელმა ფეხის ტრავმის გამო „ამერიკის ღია პირველობა“ გამოტოვა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

„ბორჯღალოსნები“ ორი ადგილით დაქვეითდნენ

საძართველოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებს არგენტინასთან 9:54 მარცხი 1,27 სარეიტინგო ქულად დაუჯდა და რეიტინგში ორი ადგილით დაქვეითდა.

„ბორჯღალოსნები“ მე-15 ადგილზე არიან და მათ ტონგამ და იტალიამ გადაასწრო. ტონგას თამაში არ ჰქონია და ქართველთა დანაკარგით ისარგებლა, ხოლო იტალიამ ამ დანაკარგის გარდა, თავისი თამაშითაც იხეირა, როდესაც კანადელთა 23:18 ძლევით მონაგარს თითქმის 1 ქულა შეჰმატა.

რეიტინგის არსებობის 12-წლიან ისტორიაში პირველად აღზევდა მე-2 ადგილზე უელსი, რომელმაც ტრავმების მიუხედავად, „თვიქენჰემზე“ მასპინძელი ინგლისი 28:25 დაამარცხა და მეოთხედფინალისკენ დიდი ნაბიჯის გადადგმის გარდა, რეიტინგშიც დაწინაურდა. „დრაკონებმა“ 2,68 ქულა მიიღეს, ინგლისმა კი ამდენივე ქულა რომ დაკარგა, ერთბაშად სამი ადგილით დაქვეითდა და ახლა მხოლოდ მე-6 ადგილზეა.

სამხრეთ აფრიკამ იაპონიისგან განცდილი სენსაციური მარცხის შემდეგ სამოას 46:6 სძლია, რეიტინგს 1,5 ქულა შეჰმატა და ერთი ადგილით დაწინაურდა. დიდი ნახტომი გააკეთა შოტლანდიამ, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით იაპონია და აშშ დაამარცხა. ეს ორივე თამაში გასულ კვირაში გაიმართა — სკოტებს იაპონელთა ძლევამ 3,05 სარეიტინგო ქულა შეჰმატა, ჯამში კი, მათი კვირის მონაგარი 3,17 ქულაა და შოტლანდიელები მე-9 ადგილამდე დაწინაურდნენ.

მსოფლიო რაგბის რეიტინგი 28 სექტემბრისთვის

1 (1). ახალი ზელანდია 92,89, 2 (4). უელსი 87,31, 3 (2). ავსტრალია 86,75, 4 (5). ირლანდია 84,40, 5 (6). სამხრეთ აფრიკა 82,66, 6 (3). ინგლისი 82,35, 7 (7). საფრანგეთი 81,12, 8 (8). არგენტინა 79,66, 9 (12). შოტლანდია 79,05, 10 (9). ფიჯი 76,96, 11 (10). სამოა 74,67, 12 (11). იაპონია 73,01, 13 (14). ტონგა 72,43, 14 (15). იტალია 71,46, 15 (13). საქართველო 71,35, 16 (16). აშშ 69,20, 17 (17). რუმინეთი 66,28, 18 (18). კანადა 64,24, 19 (19). ურუგვაი 62,11, 20 (20). ნამიბია 61,85, 21 (21). ესპანეთი 61,54, 22 (22). რუსეთი 61,10.

კოგა კოგახიძე

◎ ფეხბურთი

„ფლუმინენსემ“ რონალდინიოსთან კონტრაქტი გაწყვიტა

ბრაზილიურმა „ფლუმინენსემ“ რონალდინიოსთან კონტრაქტი გაწყვიტა. კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ხელშეკრულება, რომელსაც ვადა 2016 წლის ბოლომდე ჰქონდა, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაუქმდა.

35 წლის ბრაზილიელი შემტევი 2014 წლიდან მიმდინარე წლის ზაფხულამდე მექსიკურ „კერეტაროში“ ასპარეზობდა, „ფლუმინენსეში“ კი ივლისში ჩაირიცხა. თუ რა გახდა კონტრაქტის ორ თვეში გაწყვეტის მიზეზი, უცნობია.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

შეიკის გარყვნილებანი

საკუთარი პირადი ცხოვრება, რა თქმა უნდა ქვისლის ნაჩუქარი პლაშჩი არაა, რომ სადაც გინდა, იქ აფრიალო და ეს არავის უკვირდეს. თუმცა, როგორც ჩანს, სულ სხვანაირად ფიქრობს ირინა შეიკი, რომელიც ამ ბოლო დროს სულ მთლად გადაირია და საკუთარ ცხოვრებას კი არა, სექსუალურ ამბებსაც კი თვალებში გვჩრის.

პორტუგალიელ კრიშტიანუ რონალდუსთან დაშორების შემდეგ ირინას მტერმაც და მოყვარემაც კარგად იცოდა, რომ ეს კისკისა ასული ფუფალასავით მარტო არ დარჩებოდა და სექსის ამბავშიც არ მოაკლდებოდა თანაყოფის მსურველი, მაგრამ თუკი ორგიების მონაწილე გახდებოდა და ამ ამბებს თავად გამოამზეურებდა — ეს კი ნაკლებად სავარაუდო იყო.

ამ ცოტა ხნის წინათ, სოციალურ ქსელში გავრცელდა ერთობ ნიშანდობლივი ფოტო, სადაც რამდენიმე ქალი და მამაკაცი სრულიად შიშვლადაა გამოსახული. მათ შორის არის ეს ჩვენი ირინა, რომელიც ამ ამბით აშკარად კმაყოფილია და თუკი ეს მხოლოდ ფოტოთამაში არაა, შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ საიქიოში ირინას „კუთვნილი“ ქვაბი უკვე დაშხოშიანად თუხთუხებს.

როსტომ რაჭველიშვილი

სანთელი

გიორგი გვაზავა

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, პოეტი და პუბლიცისტი **გიორგი სიმონის ძე გვაზავა**.



დაიბადა 1939 წლის 14 იანვარს ქ. აბაშაში. სკოლაში შესვლამდე მამა მოულოდნელად გარდაეცვალა და დედამ ობლობასა და გაჭირვებაში გაზარდა. სკოლაში სამაგალითო მოსწავლე იყო. წარჩინებით დაამთავრა ქ. აბაშის II საშუალო სკოლა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ წავიდა უმაღლეს სასწავლებელში. ნიჭიერი ახალგაზრდის ძალისხმევა მხედველობიდან არ გამორჩენია ხელმძღვანელობას და იგი რაიონული გაზეთის შტატგარეშე კორესპონდენტად დანიშნეს. ყველა მისი სტატია საინტერესო თემებს ეხებოდა და სასიამოვნო წასაკითხი იყო. მალე გაზეთის შტატიან კორესპონდენტად დააწინაურეს. ამ პერიოდში შექმნა შესანიშნავი ოჯახი ქალბატონ ციალა თოფურიასთან ერთად. მისი ჟურნალისტური ნიჭიერება ცნობილი გახდა გაზეთ „კომუნისტის“ ზონის საკუთარი კორესპონდენტის გიორგი ნოდიასთვის, რომელმაც იზრუნა ახალგაზრდა გიორგის სრულფასოვან ჟურნალისტად ჩამოყალიბებისთვის. არც რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ დატოვა ნიჭიერი ახალგაზრდა უყურადღებოდ და უმაღლესი განათლების მისაღებად ქ. ბაქოს უმაღლეს პარტიულ სკოლაში გაგზავნეს. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს და სოფ. ზანათის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის განთავისუფლებულ მდივნად დანიშნეს. ცოტა ხანში სამუშაოდ გადმოიყვანეს აბაშის რაიკომში აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ინსპექტორად, საიდანაც ამავე განყოფილების გამგედ დაწინაურეს. როგორც ნიჭიერ ჟურნალისტს, მალე რაიონის გაზეთის რედაქტორად ნიშნავენ. იგი ამავე დროს იყო რესპუბლიკური გაზეთების „სოფლის ცხოვრების“, „მალადიოჟ გრუზიის“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ კორესპონდენტი.

მისი ლექსები ხშირად იბეჭდებოდა როგორც რესპუბლიკურ, ისე ადგილობრივ პრესაში. ცხოვრების მანძილზე სამზეოზე გამოიტანა 5 მშვენიერი წიგნი საკუთარი ლექსებისა და პოემებისა. იგი მალე რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის წევრად აირჩიეს.

1990 წლიდან მუშაობას იწყებს ქ. სენაკის „სენაკის უწყებანის“ მთავარ რედაქტორად. გიორგი გვაზავა ნიჭიერი, პატიოსანი, ზრდილი, გულისხმიერი და არაჩვეულებრივი პიროვნება იყო.

გიორგიმ და მისმა მეუღლემ აღზარდეს ღირსეული შვილები. ვაჟიშვილმა ჯანსუღმა და ქალიშვილმა ნინომ წარჩინებით დაამთავრეს აბაშის საშუალო სკოლა და უმაღლესი განათლება რუსეთში მიიღეს.

დღეს ნინო გვაზავა ნორვეგიაში ცხოვრობს ოჯახთან ერთად და იქვე ეწევა სამეცნიერო საქმიანობას. ჯანსუღ გვაზავა კი ეკონომიკურ-მეცნიერებათა დოქტორია და ამჟამად რუსეთის ქალაქ კოსტრომის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად მუშაობს. არჩეულია რსფსრ სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 2014 წლის 23 მაისს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით „მეცნიერებისა და განათლების დამსახურებული მუშაკის“ წოდება მიენიჭა.

გიორგი გვაზავა ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. თავისი მუხლჩაუხრელი შრომით და შესანატრი კაცობით ნათელი კვალი და დაუვიწყარი სახელი დაგვიტოვა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

თენგიზ კალანდაძე, გურამ გუნავა, რუსლან რუსია, სპარტაკ ძოგულია, რომან კიზირია, გიორგი დუნდუა, ზაურ თელია, გალაკტიონ კუცია, ბორის ლასარეიშვილი, ზურაბ ჯიძია, კუკური ლასარეიშვილი, ირაკლი რუხაძე, დარეჯან ელიაძე, ლილი გუგუშვილი, მარინა კანდელაკი, ელვარდ ნოდია, მაკა ჩაგანავა, ვერიკო ჯიბლაძე, მხედარ ჩაჩავა, აზა ბოკუჩავა, ზურაბ გაბელაია

რაინდი

ავად იყავი, მაგრამ შენს მობრუნებას ისე ველოდი, როგორც ზღვის მოქცევას... არ გამიმართლა, ის ცუდი სიზმარი კი ამიხდა, ზაფხულში რომ ვნახე... მთელი აგვისტო და სექტემბერი სოფელში ვენახს ველოლიავებოდი, ჟამიჟამ შენც გნახულობდი და გულმოკლული ვბრუნდებოდი შინ. მერე რთველი მქონდა და, როგორც იქნა, დავწურე ღვინო და თბილისში წასასვლელად ვემზადებოდი, მაგრამ 26 სეტემბერს, შაბათ ღამეს მესიჯი ვნახე მობილურზე — შენს სიკვდილს მაუწყებდნენ. გული შემეკუმშა, ცრემლები ვერ შევიკავე.

ახლა მიჭირს... მერე ყველაფერს დავწერ შენს კაიკაცობაზე. შენს მშვენიერ პოეზიაზე, შენს ლამაზ ოჯახზე. ერთს მაინც ვიტყვი: აბაშაში რომ ეკითხათ ჩემთვის, ერთი სიტყვით დაგვიხატე გიორგი გვაზავაო, დაუფიქრებლად აღმომხდებოდა სიტყვა „რაინდი“. რაინდი კაცი იყავი, რაინდი, ბედაურის, ფარ-ხმლისა და შუბის გარეშე. შენი ბედაური, ფარ-ხმალი და შუბი იყო შენი კალამი, სიმართლე და სიკეთე, რითაც ექომაგებოდი ყველა დაჩაგრულს. მათ მჩაგვრელებს კი, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, არ ერიდებოდი... დანარჩენს მერე ვიტყვი, გიორგი, ჯერ ეს იყოს და კიდევ ეს ლექსი, რითაც გემშვიდობები შენ — შესანიშნავ პოეტს, ჟურნალისტსა და მოქალაქეს...

მარადისობის გზაზე

მე, ეულს, შენ უფროს ძმასავით მომიკვდი
და ახლა შენდამი მწუხარე ფრაზა ვარ...
ამქვეყნად ყველა ვართ პატარა პრომეთე,
შენ კი თან იყავი გიორგი გვაზავა —

უზომოდ კაცური კაცი და პოეტი!
შენს კალამს სტრიქონი მიჰყავდა იორღით...
ამქვეყნად ყველა ვართ პატარა პრომეთე,
შენ კი თან იყავი გვაზავა გიორგი.

ამაზე უბრალოს ვერაფრით დაგხატავ...
და შენი ესაა ნამდვილი პორტრეტი,
ასეთი ახსოვხართ მოყვრებს და მაგათაც,
რომლებიც პიანოს ახშობდნენ ფორტეთი.

ისინი სინათლეს სიბნელით წონიდნენ.
შენ წყენაც გიჩანდა ნათელში ნაზავად...
შეგეძლო ერთ დღეში გეცხოვრა ორი დღე,
რადგანაც იყავი გიორგი გვაზავა.

გათუ დანელია

ნინო ქორჩილავა, რუსლან რუსია შვილებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი და პოეტი, უკეთილშობილესი პიროვნება და მეგობარი

გიორგი გვაზავა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის შესანიშნავ მეუღლეს, ქალბატონ ციალას და ძუძუმტე ვაჟკაცს, ცნობილ მეცნიერს ჯანსუღს, ქალიშვილ ნინოს და იმათ უახლოეს სანათესაო-სამეგობროს.

სანთელი

კარლო ღლონტი

ქართველ ინტელიგენციას და ხელოვანთა საზოგადოებას გამოაკლდა ღვაწლმოსილი კინორეჟისორი და თეატრალური მოღვაწე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **კარლო ღლონტი**.

დაბადა 1928 წელს ქ. თბილისში. 1952 წელს დაამთავრა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო, ხოლო 1957 წელს სარეჟისორო ფაკულტეტი.

ბატონი კარლო ღლონტი სხვადასხვა დროს მუშაობდა რუსთაველის თეატრში რეჟისორის ასისტენტად, კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის ხელოვნების პედაგოგად, რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგად, საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიაში რეჟისორად, თეატრალურ ინსტიტუტში პედაგოგად, სატელევიზიო ფილმების სტუდიის განყოფილების ხელმძღვანელად.

როგორც მსახიობი, ბატონი კარლო მონაწილეობდა ფილმებში: „ყვავილი თოვლზე“, „კეთილი ადამიანები“, „ალავერდობა“, „თოვლის ბაბუა“, „ხუთი ვარიაცია“. მან დადგა ერთ-ერთი პირველი სატელევიზიო სპექტაკლი „დათვი“ (ა. ჩეხოვის მიხედვით), დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ და სხვა.

მრავალმხრივი იყო ბატონი კარლოს შემოქმედებითი ინტერესების სფერო. რეჟისორის პატრიოტული, მოქალაქეობრივი პოზიცია, დაკვირვებული თვალი, დახვეწილი გემოვნება მუდამ იგრძნობოდა თემების შერჩევაში და მათ შემოქმედებით კინემატოგრაფიულ ტრანსფორმირებაში, რომელიც გულგრილს არ ტოვებდა მაყურებელს.

რეჟისორი კ. ღლონტი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ქართული ტელევიზიის სათავეებთან იდგა და სიცოცხლის ბოლომდე წარმატებით მიჰყვებოდა მისი განვითარების ნახევარსაუკუნოვან სახელოვან გზას. მის მიერ გადაღებული ტელეფილმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქალაქის გული“, „ღამის რეისი“, „უსახელო უფლისციხელი“, აგრეთვე სრულმეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმები: „მყუდრო სავანე“, „მინდვრის ყვავილი“ და დოკუმენტური ფილმები „დიმიტრი ალექსიძე“, „ოთარ მელღვინეთუხუცესი“, „პეტრიწონი“, „სინას მთა“, „გუმისთიდან ოჩამჩირემდე“, „მიუსაფარი“, „ფრაგმენტები ტაოკლარჯეთის ისტორიიდან“ და სხვა.

ბატონი კარლოს ავტორობით გამოცემულია წიგნი „საქართველოს სატელევიზიო ფილმები — 30 წელი“, სიცოცხლის ბოლო წლებში მან დაამთავრა მუშაობა მოგონებათა ნარკვევზე „წინაპართა კვალდაკვალ“.

ბატონი კარლო დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, „წმ. ანდრიას ჯვრით“ და სხვა ჯილდოებით. იგი იყო აფხაზეთის ომის მონაწილე.

წავიდა ჩვენგან საქვეყნოდ აღიარებული დიდი რეჟისორი, მსახიობი და პედაგოგი, მრავალმხრივ განათლებული, ფართოდ ერუდირებული, ინტელიგენტურობითა და აკადემიური დახვეწილობით გამორჩეული, სამშობლოსადმი უსაზღვროდ შეყვარებული, ბრძენი და პატრიოტი, ყველასთვის საყვარელი კოლორიტული პიროვნება, იგი დააკლდა თბილისს, სრულიად საქართველოს. თანავუგრძნობთ და ვუსამძიმრებთ ბატონი კარლოს ოჯახსა და ახლობლებს. ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა.

მეგობრები

⊙ კრიმინალი

ნასვამმა ორი ახალგაზრდა დაჭრა

1984 წელს დაბადებული შალვა ა. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის მეოთხე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკებისას 1990 წელს დაბადებული გიორგი დ. და 1983 წელს დაბადებული ირაკლი ე. ცივი იარაღით გულ-მკერდის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ორივე დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს.

ინციდენტი ავჭალაში ორშაბათს მოხდა. შემთხვევის ადგილზე სამი ახალგაზრდა იმყოფებოდა, დაჭრა იმ დროს მოხდა, როდესაც ერთ-ერთი მათგანი საპირფარეშოში შევიდა. ორივე დაჭრილი საავადმყოფოშია გადაყვანილი.

⊙ ინფორმაცია

გამოავლინეს საფთიაქო ნარკომანიის ფაქტები

ფარმაცევტული დაწესებულებების შემოწმების შედეგად, სამართალდარღვევის 281 ფაქტი დაფიქსირდა, აქედან — 82 მათგანი პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის წესების დარღვევას უკავშირდება, 76 სამართალდარღვევის ფაქტი კი თბილისში მდებარე დაწესებულებებში გამოვლინდა; ავტორიზებული აფთიაქის მიერ ნებართვის გარეშე უკანონო ფარმაცევტული საქმიანობის 10 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო 3 ფაქტზე საქმისწარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილების გამოტანისთანავე დაიწყება.

2014 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს ავტორობით მომზადებული, ერთობლივი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, კუსტარული ნარკოტიკების — ე.წ. „კრაკადილის“, „ვინტის“ და „ჯეფის“ მოხმარება დაახლოებით 99%-ით შემცირდა. 2014 წელს შს სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონის ძალაში შესვლის შედეგად კი ე.წ. ბიონარკოტიკის მოხმარება დაახლოებით 90%-ით არის შემცირებული.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2013 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს და შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა ერთ-ერთ ავტორიზებულ აფთიაქში საკონტროლო შესყიდვა განახორციელეს. ჩატარებული ღონისძიებისას პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის შეძენა ფორმა №2 რეცეპტის გარეშე მოხდა. გამოვლენილი ფაქტის საფუძველზე, აღნიშნულ დაწესებულებაში ფარმაცევტული საქმიანობის შემოწმება დაიწყო.

ვარჯიშის უარყოფითი შედეგი

აღმოჩნდა, რომ სპორტული ვარჯიში... კბილებს შლის.

სპორტული ვარჯიშის დროს ადამიანები უნებლიეთ კბილებს კბილებზე აჭერენ, რაც მათ დაშლას უწყობს ხელს. ამის გარდა, ვარჯიშის დროს ინტენსიურად იხარჯება კალციუმი და ფოსფორი და თუკი ორგანიზმი მათ საკვებთან ერთად არასაკმარისი ოდენობით იღებს, შესაძლოა, კბილების დაშლის პროცესი დაიწყოს.

გამხდრებს საკუთარ გასაჭირსაც არ აკმარებენ

ამერიკელ მკვლევართა გამოკვლევით დადგინდა, რომ გამხდარი ადამიანები ტანსრულებზე ნაკლებ შემოსავალს იღებენ.

ფლორიდელ მეცნიერთა განცხადებით, ის მუშაკები, ვინც ნორმაზე ნაკლებს იწონიან, წელიწადში საშუალოდ 180 ათას დოლარზე ნაკლებს გამოიმუშავებენ, ვიდრე ისინი, ვისაც სხეულის მასის ნორმალური ინდექსი აქვს.

როგორც ჩანს, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ გამხდარი თანამშრომლები სამუშაოს ტანსრულებზე უარესად ასრულებენ.

დაბინძურებული ტელეფონების „გაწმენდა“

მობილურ ტელეფონებზე, თურმე, გაცილებით მეტი ბაქტერია გროვდება, ვიდრე უნიტაზის დასაჯდომებზე.

ამერიკელმა ინჟინრებმა გაჯეტების დამტენი მოწყობილობა შექმნეს, რომელიც მობილურ ტელეფონებს ეფექტიანად ბაქტერიებისგან აქტიურად ასუფთავებს.

დამტენ მოწყობილობაში ორი ულტრაიისფერი ნათურაა ჩამონტაჟებული, რომლებიც გარკვეული სიგრძის ტალღებს ასხივებენ, ისინი კი ბაქტერიებისა და ვირუსების დნკ-ებს ანადგურებენ.

საჭმლის ჩხირების სიკეთე

აზიის მკვიდრთა ტანსიწერწეტის მიზეზი... საჭმლის ჩხირები ყოფილა.

საკვების ამ ხერხით მიღებისას საჭმელი კუჭში ნელ-ნელა და თანაბარზომიერად ხვდება. ამ დროს სისხლში შაქრის შემცველობის დონე იკლებს, შესაბამისად, ინსულინიც ნაკლებად გამომუშავდება. ამიტომაც საკვების ნაწილი ენერგიად და არა ქონად გადამუშავდება.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ღამდება. ისინი, ვინც დიეტაზე არიან, მაცივრის კარს აღებენ.

* * *

პატარა ბიჭი სუფთა ფურცელს უჩვენებს მამას.

— აი, აქ ძროხა დავხატე, მამი, საძოვარზეა გაშვებული.

— კარგია. მერედა ბალახი რატომ არ ჩანს?

— გაიკვირვა მამამ.

— რატომ და, ძროხამ მოძოვა.

— თვითონ ძროხა რა იქნა?

— ბალახი სულ რო მოძოვა, წავიდა.

ინდოეთი. გზას მგზავრი მიუყვება. იქვე გვერდით მდიდრული მანქანა ჩერდება. მძღოლი უყვირის მგზავრს:

— ეს გზა დელისკენ მიდის?

— არ ვიცი, — ეუბნება მგზავრი.

— ამ გზით აგრაში ხო არ მივალ?

— არ ვიცი...

— შენ რა, რეგვენი ხარ? არ იცი, სად მიდიხარ?

— იქნებ რეგვენიც ვარ... მაგრამ, სამაგიეროდ, გზა არ ამრევია.

* * *

— **უმაღლესი** განათლება ჩვენს დროში აუცილებელია.

— მართალი ხარ, თუ ბედმა გაგიღიმა და დარაჯის ადგილი იშოვე, გაუნათლებელს სკანვორდების ამოხსნა გაგიჭირდება.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე